

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№9

სექტემბერი

2008

**რომის პაპის, მისი უწმიდესობა ბენედიქტე XVI-ის მიერ  
ღმრთისმშობლისადმი აღვლენილი საკვირაო ღოცვის დასასრულს  
გაკეთებული განცხადება სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებასთან  
დაკავშირებით**

კვირა, 10 აგვისტო, 2008

ღრმა წუხილს იწვევს სულ უფრო დრამატული ცნობები იმ ტრაგიკული მოვლენების შესახებ, რომლებიც ვითარდება საქართველოში და რომელთა შედეგადაც, სამხრეთ ოსეთის რეგიონიდან მოყოლებული, მრავალი უცოდველი ადამიანი დაიღუპა და სამოქალაქო მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა საკუთარი სახლები.

გამოვთქვამ წადილს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედებები და, საერთო ქრისტიანული მემკვიდრეობის სახელით, აღარ განახლდეს დაპირისპირება და ძალადობრივი შეტაკებები, რომლებიც შეიძლება კიდევ უფრო ფართომასშტაბიან კონფლიქტში გადაიზარდოს. ერთმნიშვნელოვნად საჭიროა მოლაპარაკებებისა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კონსტრუქციული დიალოგის განახლება და ამგვარად ამ ხალხებისთვის შემდგომი ტანჯვის აცილება.

ამასთან, მოუხმობ საერთაშორისო საზოგადოებას და ყველაზე გავლენიან ქვეყნებს, ყოველ ძალისხმევას მიმართონ პოლიტიკური და მყარი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინიციატივათა გამოსაძებნად და განსახორციელებლად, გახსნილი და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული თანაარსებობის სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით.

ჩვენს მართლმადიდებელ ძმებთან ერთად მუდმივად ვლოცულობთ ამისათვის და ჩვენს ღოცვებს მივანდობთ იესო ქრისტესა და ყველა ქრისტიანის დედის, წმიდა ღმრთისმშობლის მფარველობას.

**რომის პაპის, მისი უწმიდესობა ბენედიქტე XVI-ის სიტყვა**

ანგელუსი, 17 აგვისტო, 2008

ყურადღებითა და მღელვარებით ვადევნებ თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და განსაკუთრებულ სიახლოვეს ვგრძნობ კონფლიქტის მესხვერპლთა მიმართ. აღვაფლენ რა საგანგებო ღოცვასა და პარაკლისს დაღუპულთა სულებისათვის, გამოვხატავ გულწრფელ თანაგრძნობას მგლოვიარეთა მიმართ და გამოვთქვავ მოწოდებას, რომ, გულუხვობის მაღლით, როგორმე შემსუბუქდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა მძიმე მდგომარეობა, განსაკუთრებით კი ქალების და ბავშვების, რომლებიც განიცდიან გადარჩენისათვის აუცილებელი საგნების და პროდუქტების ნაკლებობას.

ვითხოვ, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, გაიხსნას ჰუმანიტარული დერეფნები სამხრეთ ოსეთის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის, ისე,

რომ მოხდეს მიტოვებული გარდაცვლილთა გვამების ღირსეული დასაფლავება, დაჭრილებს გაეწიოს სათანადო მკურნალობა და მათ, ვისაც ეს სურთ, უფლება მიეცეთ შეუერთდნენ თავიანთ ახლობლებს. გარდა ამისა, კონფლიქტში ჩათრეული ეროვნული უმცირესობებისთვის გარანტირებული უნდა იქნას ხელშეუხებლობა და ის ფუნდამენტური უფლებები, რომელთა დარღვევა ყოველად დაუშვებელია ნებისმიერ სიტუაციაში.

ბოლოს კი ვისურვებ, რომ მოქმედი ზავი, რომელიც მიღწეულ იქნა ევროკავშირის წყალობით, იყოს მტკიცე და გადაიზარდოს სტაბილურ მშვიდობაში. ასევე, მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას გააგრძელოს თავისი მხარდაჭერა, რათა მიღწეულ იქნეს ეფექტური და ხანგრძლივმოქმედი გამოსავალი, დიალოგისა და საერთო კეთილი ნების ძალით.

### **ინტერრელიგიური თანამშრომლობის საბჭოს განცხადება საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით**

ჩვენ, საქართველოს ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციების წინამძღვრები და მრევლი დიდად განვიცდით უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩვენი სამშობლოს – საქართველოს ტერორიზმზე შექმნილი ვითარების გამო.

ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საქართველოში, საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს სტაბილურ და მდგრად განვითარებას, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონს, რისი შესაძლო სავალალო შედეგი წარმოუდგენლად მძიმე იქნება მთელი კაცობრიობისათვის.

ჩვენ შემოფოთებულნი ვართ იმ ადამიანური მსხვერპლისა და მატერიალური ზიანის გამო, რომელთაც ადგილი აქვთ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ცნობები გარდაცვლილი ბავშვებისა და მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის შესახებ. ჩვენ ვლოცულობთ გარდაცვლილთა სულების გადარჩენისათვის და შევთხოვთ უფალს, რათა სიკვდილის მანქანამ შეწყვიტოს მოქმედება ჩვენს სამშობლოში. ამასთანავე ვიზიარებთ დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და ახლობლების მწუხარებას.

ჩვენ ვიზიარებთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორეს მიერ გაკეთებული განცხადების სულისკვეთებას და მიგვაჩნია, რომ ყველა ვალდებულია პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მივმართავთ თხოვნით დაპირისპირებულ მხარეებს, რათა ყოველთვის ახსოვდეთ უფლის მცნებანი და ხელმძღვანელობდნენ მათი სულისკვეთებით.

ვევედრებით უფალს, რათა მისი წყალობით დასრულდეს ჩვენს სამშობლოში მიმდინარე ნეგატიური პროცესები. დაე მშვიდობა და კეთილდღეობა სუფევდეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამენ!

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წინამძღვარი,  
მთავარეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი

ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი,  
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

სომეხთა სამოციქულო წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის  
წინამძღვარი, ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი

კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელი საქართველოში

საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი  
რაბი ავიმელეს როზენბლატი

საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის წინამძღვარი,  
ეპისკოპოსი ჰენრიხ შეფერი

**რედაქციის გვერდი**

**სულიერი ცხოვრება**

“განა განვიცდია როდესმე ის, რასაც სულიერება ქმნის ადამიანში?” – ასეთ კითხვას სვამდა რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი დიდი გერმანელი კათოლიკე თეოლოგი კარლ რანერი. იმ ცხოვრებისეულ ორომტრიალში, რომლებიც იმის დროსაც კი არ გვიტოვებენ, რომ ცოტახნით დავფიქრდეთ მაინც, ცოცხლები ვართ თუ მკვდრები, დგას თუ არა უამი შეცნობისა, ვართ თუ არა “სულიერი არსებები”.

მარსელ პრუსტი ჩვენს ცხოვრებას წამიდან წამზე გადაღებულ იმ ფოტოფირს ამსგავსებდა, რომელიც შავდება და ამის გამო გვერდზე გადაიდება, ეს იმიტომ, რომ სული ხშირად ვერ ამჟღავნებს და ვერ ამუშავებს მათ ისე, როგორც ეს ფოტოლაბორატორიაში ხდება.

აი, რას წერდა შვეიცარიელი მწერალი სტიგ დაგერმანი: “მე განვიცდი რწმენის ნაკლებობას და ამიტომაც, ვერასოდეს ვიქნები ბედნიერი ადამიანი, რამეთუ ბედნიერ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს შიში იმისა, რომ მისი ცხოვრება მხოლოდ სიკვდილისაკენ უაზროდ ხეტივლია და სხვა არაფერი... ადამიანი ვერ იღებს საკმარის ნუგეშს...”. აი, მისეული აღწერა, უსაზღვროდ უბრალო და უშუალო, ინტენსიურ და ცხოველმყოფელ სულიერ გამოცდილებაზე, თუნდაც ეს არ იყოს სრულიად გაცნობიერებული; მოწყვლადი რეალობის წყალობით ადამიანი უკანასკნელ განზომლებაში გადაინაცვლებს, არა იმდენად პირდაპირი და აშკარა გზით, რამდენადაც სიღრმისეულად და ძირეულად: “მე შემიძლია, მაგალითად, გავიარო ზღვის ნაპირზე და მოულოდნელად განვიცადო მარადისობის შიშისმომგვრელი გამოწვევა ზღვის მღელვარებასა და ქარის დაუდგრომელ სრბოლაში”.

ფაქტობრივად, ჩვენი ცხოვრების წესის, სტილისა და პრობლემების მიუხედავად, ყოველი ჩვენგანი გამოცდის “სულიერებას”, ფართო გაგებით: “მე ვაზროვნებ, ვსწავლობ, ვიღებ გადაწყვეტილებებს, ვმოქმედებ, ვურთიერთობ სხვებთან, ვცხოვრობ არა მარტო ბიოლოგიურ ფასეულობებზე აგებულ საზოგადოებაში, არამედ სულიერზეც, მიყვარს, ვთამაშობ, ვტკბები პოეზიით, ვფლობ კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების მემკვიდრეობას... ანუ ვიცი, რაც არის სული”. და მაინც, ადამიანი ბოლომდე ვერასოდეს განიცდის სულს იმ რეალურ, ავთენტიკურ ტრანსცენდენტულში, რაც მას ახასიათებს. “განვიცდია ოდესმე სული თავისი ტრანსცენდენტულობით?” – ეს კითხვა უკეთ დაგვეხმარება ცხოვრების სულიერი აღქმის გაგებაში, ხოლო პასუხი იმ მარტივი კონსტატირებით უნდა დავიწყოთ, რომელიც ყველასათვის იქნება ნათელი: “ღმერთი ყოველი ადამიანის – მამაკაცისა თუ დედაკაცის – ცხოვრებაში მოქმედებს”. ეს ყოველთვის ასეა. თავად ის ფაქტი, რომ ადამიანები ვართ, ნიშნავს სულიერ ცხოვრებასაც. “სულიერ ცხოვრებაში” არ იგულისხმება, პირველ რიგში, მხოლოდ ღოცვაში გამოხატული ცხოვრება ან რწმენის თავისუფლება, არამედ ის, რომ ყოველი ადამიანი, როგორც ასეთი, ქრისტეს

წყალობას განიცდის და მისით არის გარემოცული. მორწმუნემ იცის, რომ სულიერი ცხოვრება ნებისმიერ ადამიანს აქვს, და არა მხოლოდ მას, ვისაც ეს შეგნებული აქვს და თავის ბედს უკავშირებს. ნებისმიერ შემთხვევაში, პიროვნებათა სულიერი ცხოვრება არასოდეს კვდება. ღმრთის სული მუდმივად აღიძვრება ჩვენში და მოელს წუთისოფელში: იგი აქტიურობს კაცობრიობის სეპტემბერში, გრძნობებში, სურვილებში, გულის სიღრმისეულ სწრაფვებში, სოციალურ, კულტურულ და სულიერ მხარეებში. სულის შემოქმედებითი მხარე მარად “აღიძვრის და იზიდავს”, – წერდა წმიდა ეგნატე ლოიოლა თავის სულიერ სავარჯიშოებში.

ადამიანი მუდამუამს ღმრთის სულის ქმედების ქვეშ იმყოფება, თუნდაც იგი არ ლოცულობდეს ან არ მიიხნევდეს თავს მორწმუნედ. თუმცა, თუ მოხმობა უპასუხოდ დარჩება, ადამიანის თავისუფალი და შეგნებული სულიერი მხარე გადმოუცემელი, უმოქმედო, გაუმჟღავნებელი იქნება.

მაინც რას ნიშნავს საკუთარი სულიერების გაცნობიერება? ამ კითხვაზე პასუხი, ერთგვარად, სულიერების ტრაქტატის შედგენას გულისხმობს; პასუხის პირველ მცდელობად ამ “ინტრიგნულ კითხვაზე” შეიძლება ესეც ჩაითვალოს: “ეს ნიშნავს დიდი კითხვის ნიშნების დასმას”: სიცოცხლეზე და სიკვდილზე, ჩვენს სეპტემბერზე, იმაზე, რაც ნამდვილად გვსურს ცხოვრებიდან. ასე რომ არ ყოფილიყო, სულიერი ცხოვრება ხორცს ვერ შეისხამდა, ანუ არსობრივად იგი აღიქმებოდა, როგორც გამოუსადეგარი, “რალაციით მეტი” რამდენიმე რჩეულთათვის. ამ მრავლისმეტყველ კითხვებში ყოველთვის ჩანს სულიერების დიდი ნიშანი: რას ნიშნავს „ნუგეშცემული“ ადამიანი? რას გულისხმობს კაცობრიობისთვის “მარადიულობის გამოწვევა”? როგორ ვუპასუხებ მას, რასაც ამ ცხოვრებიდან ვითხოვ, უფრო მეტიც, რა არის თავად ამ სურვილების საფუძველში? რა მომანიჭებს მე ბედნიერებას?

დღეს ადამიანი ხშირად დაბნეულია, ვერ ამჩნევს მას, რაც მის ცხოვრებას ნამდვილად მიაჩნებდა ცხოველყოფილობას, უგულოდ ეკიდება საკვირველებას და ყოფიერების არსებით კითხვებს. მისი გონება კონცენტრირებულია მხოლოდ იმაზე, რაც თვალისთვის საჩინოა, ადამიანი ვერ უძლებს მედიტაციის წუთებს. და ასე, დიდ იმედგაცრუებებში და საზრუნავებში მყოფი ადამიანი მუდმივად მოკლევადიანი უსაფრთხოების ძიებაშია. ხოლო არსებითი კითხვა სიცოცხლეზე და მის არსზე უცვლელად რჩება და მან კარგად იცის, რომ თუნდაც უგერგილოდ ეკიდებოდეს, მაინც ვერ აცდება მას.

ახლად დამდგარი სასწავლო წელი მრავალი მოსწავლე-ახალგაზრდისთვის ყოველდღიურ სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობაში, სტუდენტთა, მშობელთა და პედაგოგთა შორის ნაყოფიერ თანამშრომლობაში, შეიძლება ნამდვილ “სულიერ” სამუშაოდ იქცეს, რომელიც მზაობას გამოიჩენს ახლის ძიებაში და ყველასთან დიალოგში, განურჩევლად კულტურისა, ეროვნებისა, რელიგიისა, ეკლესიის მიკუთვნებისა, მრავალმნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება პიროვნების ზრდისა და მისი გლობალური ფორმაციისათვის.

**მამა გაბრიელე ბრაგანტინი**

**მამა პიერ დიუმულენი**

**წმიდა პავლეს წელი**

**პავლეს მოქცევა.**

“...სადაც მე მივდივარ, თქვენ იცით ეს გზა”, ეუბნება მას თომა: “უფალო, არ ვიცით, სად მიდიხარ, და გზა როგორღა გვეცოდინება?” ეუბნება მას იესო: “მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით” (იოან. 14, 4-6).

“სასიკვდილოდ ვდევნიდი ამ გზაზე დამდგართ... როცა მივდიოდი და ვუახლოვდებოდი დამასკოს, შუადღისას უეცრად ძლიერმა ნათელმა მომიცვა ციდან” (საქმე. 22, 4-6).

### 1. “სავლე, რად მდევნი მე?” (საქმე. 22, 7).

იერუსალიმის ჩრდილოეთით, დამასკოს კარიბჭიდან იწყება დიდი გზა, რომელიც კვეთს სამარიას, ტიბერიადის ზღვას უვლის და სირიის პლატოსკენ უხვევს. მრავალრიცხოვან თანამოაზრეთა თანხლებით პავლე სწორედ ამ გზით მიემართებოდა. დაკისრებული მისია - შორეულ მხარეში იესოს მოწაფეთა მწვალებლობის ძირფესვიანად ამოძირკვა - მასში სიამაყის გრძნობას ბადებდა.

“...უეცრად მოეფინა ნათელი ციდან და დაეცა მიწაზე და მოესმა ხმა, რომელიც ეუბნებოდა: “სავლე, სავლე, რად მდევნი მე?” თქვა: “ვინ ხარ შენ, უფალო?” მან კი: “მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი... ადექი და შედი ქალაქში და გეტყვიან, რაც უნდა გააკეთო”... წამოდგა სავლე მიწიდან, თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ხელი მოჰკიდეს მას და შეიყვანეს დამასკოში” (საქმე. 9, 3-8).

“რად მდევნი მე?” სახარების მიხედვით, იესო თავისი კითხვებით წინ უსწრებს მოვლენათა განვითარებას, რაც ჩვენთვის ხშირად გაუგებარი რჩება. ღმრთის მოქმედება ყოველთვის მოულოდნელი, ამოუცნობი, სიახლით აღსავსეა და ჩვენში გაოცებას იწვევს. ვისაც სურს გაჰყვეს ღმერთს, მოსაწყენად ვეღარ მოიცილის და მოულოდნელობიდან მოულოდნელობისკენ მარადიულ მოძრაობაში ჩაერთვება - ამ გზაზე ხომ მონოტონური ერთფეროვნება შეუძლებელია. რაულ ფალროს არაერთხელ ხუმრობით უთქვამს: “რა არის დღეს ახალი? რა თქმა უნდა, ღმერთი!” ჭეშმარიტი კითხვა მრავალი როდია და ყოველთვის საკუთარი თავისკენაა მიმართული. რწმენის გზაზე დამდგარს ღმერთისთვის კითხვის დასმა აღარ სჭირდება. გულს თუ გაუხსნი ღმერთს, იგი თავად მოგმართავს კითხვით.

“რად მდევნი მე?” - ეკითხება იესო. პავლესთვის გასაგები ხდება თუ როგორ უნდა შეხვდე უფალს, ემსახურო მას და შეიყვარო იგი: ეს ნიშნავს შეიყვარო ეკლესია - ქრისტეს სხეული. პავლე აცნობიერებს: თუ იგი მორწმუნეთა საკრებულოს წევრი გახდება და ქრისტეს სხეულს შეუერთდება, საკუთარი თავისთვის ცხოვრება შეუძლებელი იქნება - მასში მუდამ იცოცხლებს ქრისტე, “დიდების სასოება” (კოლ. 1, 27). თუ ქრისტე, როგორც ყოველი მორწმუნე ადამიანის, პავლეს გულშიც დაივანებს, ნათელი გახდება - ქრისტე “ყველაფერი ყველაფერშია” (1 კორ. 15, 28; შდრ ეფეს. 1, 23, კოლ. 3, 11). იგი არს ღმერთი. ემსახურო მას - “ჩემს ღმერთს და ჩემს ყველაფერს” - ნიშნავს გახდე “ყველასთვის ყველაფერი” (1 კორ. 9, 22).

დავუბრუნდეთ დამასკოს გზას. პავლე მიემართება ამ ახალი სწავლების მიმდევართა დევნის განსახორციელებლად. პავლე გულრწველია, თავის სიმართლეში დარწმუნებული, მაგრამ სწორედ იქ, ბორცვის მოსახვევთან, მისი გზა, სრულიად მოულოდნელად, ქრისტიანთა გზას გადაკვეთს. პავლე გზაჯვარედინზე აღმოჩნდა და მთელი გულით მიიღო ცხოვრების მიმართულების შეცვლის აუცილებლობა. იესო მოდის ყოველი ადამიანის შესახვედრად, ვინც გზაშია, თუნდაც ეს გზა მცდარი იყოს. იესო ვერ ხვდება მათ, ვინც თავის მყუდრო თბილ

სახლშია ჩაკეტილი, თავს უფრთხილდება, კარგადაა მორგებული საკუთარ თავდაჯერებულობას, მერყეობასა და ეჭვებს და ამით კმაყოფილდება. შინაგანი სიზარმაცისთვის ყოველივე ეს რბილ “ბალიშად” თუ გამოადგებათ.

“ბნელში მთარულმა ხალხმა იხილა დიდი ნათელი”, - ამბობს ესაია წინასწარმეტყველი (ეს. 9, 2). “ხალხი მთარული” და არა მძინარე. “მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე” (იოან. 14, 6). იმას, ვინც ეს სიტყვები წარმოთქვა, უყვარს მოგზაურები და “მთარულნი”.

პავლემ საკუთარი ცხოვრების გზად ღმერთი აირჩია, ღმრთის არჩევანი კი პავლეს ხვდა წილად.

ერთი ხილვა, ერთი კითხვა - უმთავარესი წამებში ითქვა და ამ წამებმა ელვის სისწრაფით ჩაიქროლა.

პავლეს მოქცევა იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ წმიდა წერილი ამის შესახებ ოთხგზის მოგვითხრობს. ოთხი სახარება საშუალებას გვაძლევს “დავინახოთ” ქრისტე, მივუახლოვდეთ მას. ოთხჯერ უნდა წავიკითხოთ თხრობა იმ შეხვედრის შესახებ, რომელმაც სრულიად შეცვალა კაცობრიობის ისტორია.

პავლეს თხრობა თანდათან ახალი დეტალებით ივსება: “შუადღისას... გზაზე ვიხილე... მე ვთქვი: “ვინ ხარ შენ, უფალო?” უფალმა თქვა: “მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი. მაგრამ წამოდექი და დადექი ფეხზე, ვინაიდან იმისათვის გამოგეცხადე, რომ დაგაყენო მსახურად და იმის მოწამედ, რაც იხილე და რასაც გამოგიცხადებ, რათა გიხსნა ამ ხალხისგან და წარმართთაგან, რომლებთანაც მიგავლენ მათი თვალების ასახელად და ბნელიდან ნათლისაკენ, და სატანის ხელმწიფებიდან ღვთისაკენ მოსაქცევად, რათა ჩემდამი რწმენით მიიღონ ცოდვების მიტევება და წილი განწმედილებთან ერთად” (საქმე. 26, 13-18).

პავლე ხდება ”მსახური და იმის მოწამე, რაც იხილა”, ანუ მოციქული, მათ მსგავსად, ვინც ლუკას გადასცა საკუთარი მოწმობა: “როგორც გადმოგვცეს თავიდანვე თვითმხილველებმა და სიტყვის მსახურებმა” (ლუკ. 1, 2). მოციქული - არა მხოლოდ მოწმეა, არამედ მსახური, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე გაიღო, რათა ემსახუროს იმას, რაც ნახა და იწამა: მთელი მისი სიცოცხლე მისივე უწყების საწინდარია. თავად ქრისტემ დაადგინა პავლე მოციქულად. ჯვარცმულისა და აღმდგარის მოწაფეთა შორის პავლე საკუთარ თავს ყველაზე უგუნურად და უღირსად მიიჩნევს, მაგრამ ვერაფერი აიძულებს მას უარი თქვას მოციქულის წოდებაზე, ამ ერთადერთი დიდების ერთადერთ ჭეშმარიტ მსახურებაზე.

## 2. ანანიასთან.

პავლემ მხედველობა დაკარგა და სწორედ სიბრმავემ მას ხსნა მოუტანა. პავლე აცნობიერებს, რომ არაფერი ესმის. ქრისტემ ხომ რამდენიმე წლის წინ უთხრა მის ძმებს, ფარისევლებს: “ბრმები რომ ყოფილიყავით, ცოდვა არ გექნებოდათ, მაგრამ რაკი ამბობთ, თვალხილულნი ვართო, თქვენი ცოდვა გრჩებათ” (იოან. 9, 41). ხსნისკენ მიმავალი გზა საკუთარი სიბრმავის გაცნობიერებით იწყება. ღმერთთან მიმართებაში ქრისტიანი ყოველთვის “ახლომხედველად”, სინათლის მაძიებლად რჩება. ღმერთთან მიახლოება - ძღვენია, რომელიც მხოლოდ მორჩილთათვისაა განკუთვნილი, ამაყებსა და ამპარტავანთ კი უარი ეთქმით. “განსაკითხავად მოვედი ამ სოფელში, რათა ბრმებმა დაინახონ, მხედველნი კი დაბრმავდნენ” (იოან. 9, 39) - ამპარტავნები ”დანახვის” უნარს კარგავენ.

ქრისტეს კითხვა ყოვლისმომცველია. როგორ უნდა იცხოვროს ამერიიდან პავლემ? ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი უსუსურობის გაცნობიერება... მაგრამ როგორ გაჰყვე ამ გზას?

ოდესღაც გამალიელი ეუბნებოდა პავლეს: “შენ მასწავლებელი გჭირდება.” ღმერთი ამ სურვილის აღსრულებაში ყოველგვარ მოლოდინს “აჭარბებს”. ქრისტე თავისი კითხვით მიზანს უსახავს პავლეს, ამ მიზანთან მიმავალ გზას უჩვენებს და მოძღვარსაც ურჩევს - ხანდაზმულ ანანიას, ქრისტიანს.

“...უთხრა უფალმა მას ჩვენებაში: “ანანია!.. ადექი და მიდი ქუჩაზე, რომელსაც ჰქვია სწორი და იუდას სახლში იკითხე ტარსუსელი კაცი, სახელად სავლე. აჰა, ლოცულობს იგი. და იხილა მან ჩვენებაში კაცი, სახელად ანანია, რომელიც მივიდა და ხელები დაასხა მას, რათა თვალი აეხილა.” მიუგო ანანიამ: “უფალო, ბევრისგან მსმენია ამ ადამიანზე, რაოდენი ბოროტება უყო შენს წმიდებს იერუსალიმში. და აქაც მღვდელმთავრებისაგან აქვს ხელმწიფება შებოროკოს ყველა, ვინც შენს სახელს ახსენებს.” უთხრა მას უფალმა: “წადი, ვინაიდან ის არის ჩემი რჩეული ჭურჭელი, რათა ატაროს ჩემი სახელი წარმართთა, მეფეთა და ისრაელიანთა წინაშე. მე ვაჩვენებ მას, რამდენი უნდა იტანჯოს ჩემი სახელის გულისთვის.” წავიდა ანანია, შევიდა იმ სახლში, დაასხა მას ხელები და უთხრა: “ძმაო სავლე, უფალმა გამოგზავნა მე, იესომ, რომელიც გეჩვენა გზაზე, სადაც მიდიოდი, რომ თვალი აგეხილოს და აღივსო სულიწმიდით.” და მაშინვე, თითქოს ქერცლი მოსძვრაო მის თვალებს, აეხილა, ადგა და მოინათლა. და მიიღო საჭმელი და მომაგრდა...” (საქმე. 9, 10-19).

პავლემ ისევ იხილა დღის სინათლე, რადგან მან უკვე იპოვა გზა და სიცოცხლე.

ვინ არის ანანია? თუ უფლის რჩეულია, ჩვეულებრივი მოწაფე როდია... ადამიანს მხედველობა დაუბრუნო, გონება გაუნათო - ნიშნავს განდობილად ჰქმნა იგი. სწორედ ანანიას ის მოძღვარი, რომელსაც პავლე ელოდება.

“ვინმე ანანია, კაცი ღვთისმოსავი რჯულის წესით, რომელსაც ემოწმებოდა იქ მცხოვრები ყველა იუდეველი, მოვიდა ჩემთან, დამადგა და მითხრა: “ძმაო სავლე, აგეხილოს თვალი!” და მე იმ ჟამსავე დავინახე იგი. ხოლო მან მითხრა: “ჩვენი მამების ღმერთმა წინასწარ განგაწესა შენ, რომ შეიცნო მისი ნება, დაინახო მართალი კაცი და ისმინო ხმა მისი ბაგიდან. რადგან შენ იქნები მისი მოწმე ყველა ადამიანის წინაშე იმისა, რაც ნახე და მოისმინე” (საქმე. 22, 12-15).

ჩვენ ვერასდროს გავიგებთ, რას ეზიარა პავლე სულიერი ცხოვრების ამ მასწავლებელთან, რომლის სახელიც კი ღრმა შინაარსის მატარებელია: ანანია - “ღმრთის მადლს” ნიშნავს. არა!.. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ამის გაგება: საკმარისია წავიკითხოთ პავლეს წერილები, სადაც მოციქულმა გადმოგვცა ის, რაც თავისი “ნათლისგან” მიიღო.

### 3. სამი წელიწადი უდაბნოში.

ანანიას ძალზე კარგად ესმის, რომ პავლეს სიმშვიდე და მდუმარება ჰაერივით სჭირდება. მოქცევის გამოცდილება, რომელიც მან სულ ახლახან მიიღო, უნდა გაღრმავდეს, გულში ფესვები გაიდგას და ლოცვით მარტოობაში განმტკიცდეს. არ შეიძლება მოპოვებული განძის ნაჩქარევად გახსნა. სანამ ღმრთით ბოძებულ ძღვენს სხვას გაუზიარებს, პავლემ ეს ძღვენი გულის სიღრმეში სათუთად უნდა შეინახოს... ანანიას მიჰყავს იგი უდაბნოში, სადაც ესეველთა/?! საკრებულოები და იოანეს მოწაფეები სამი წლის განმავლობაში “ნოვიციატს” გადიან. ექვი არ გვეპარება იმაში,

რომ ანანასა თუ რომელიმე სხვა ქრისტიანი მოძღვრის ხელმძღვანელობით, პავლე იძენს ამგვარ გამოცდილებას.

უდაბნო - ღმერთთან შეხვედრის ადგილია. პავლეს იზიდავს დუმილით მოცული უსასრულო სივრცე. იქ, უდაბნოში, ღმრთისა და ადამიანის გულთა სიღრმისეულ დიალოგს ულმობელი შინაგანი ბრძოლა ენაცვლება. ძნელია არ გაიხსენო ოსია წინასწარმეტყველის სტრიქონები:

“...აჰა, შევიტყუებ (ჩემს ცოლს) და უდაბნოში წავიყვან, რომ გულითადად ველაპარაკო... იქ იმღერებს, როგორც ყმაწვილქალობისას მღეროდა... და მე საუკუნოდ დაგწინდავ ჩემთვის, დაგწინდავ სიმართლით და სამართლით, წყალობითა და სიყვარულით. დაგწინდავ რწმენით და შეიცნობ უფალს. იმ დღეს იქნება, რომ გავეხმიანები...” (ოს. 2, 16-23).

შეუძლებელია ამ გამოცდილების სიტყვებით გადმოცემა. პავლე ძალზე მუნწად მოგვითხრობს ამ პერიოდის შესახებ: “არც იერუსალიმში ავსულვარ ჩემს წინამორბედ მოციქულებთან, არამედ არაბეთში წავედი და კვლავ დავბრუნდი დამასკოს” (გალ. 1, 17).

“უდაბნოს ნოვიციატის” დამთავრებისას პავლე დამასკოში ბრუნდება, მაგრამ იქ დიდხანს როდი ჩერდება. ქრისტემ მთლიანად აღავსო მოციქულის გული, პავლე თავს ვეღარ იოკებს - ამ ძალის დამორჩილება შეუძლებელია... მან “ დაიწყო სინაგოგებში ქადაგება იესოზე, რომ ის არის ძე ღვთისა” (საქმე. 9, 20). ამ აღტაცებულ ადამიანს არგუმენტები წაუყენო - ამაო საქმეა. იუდეველებმა გადაწყვიტეს მოეკლათ იგი. იწყება არეულობა, საზოგადოებრივი წესრიგი დარღვეულია. დამასკო კი ამ დროს ალყაშია მოქცეული, ქალაქს მეამბოხე ნაბატელები უტევენ. ქალაქის მთავრები ცდილობენ დააკავონ პავლე, მაგრამ ქრისტიანთა საკრებულოს დახმარებით მოციქული ხელთ უსხლტება მათ. ეს არის ჩვენთვის კარგად ცნობილი ეპიზოდი: “...დღედაღამ სდარაჯობდნენ კარიბჭესთან, რომ მოეკლათ იგი. აიყვანეს მოწაფეებმა ღამით და გალავნიდან ჩაუშვეს გოდრით” (საქმე. 9, 24-25).

#### 4. იერუსალიმში

“მერე, სამი წლის შემდეგ, ავედი იერუსალიმში პეტრეს სანახავად და თხუთმეტი დღე დავყავი მასთან” (გალ. 1, 18).

იერუსალიმში მორწმუნეები თავს არიდებენ პავლეს. მათ ეშინიათ ამ ადამიანის: ვინ იცის - იქნებ შემოგზავნილია და ცდილობს ქრისტიანთა ნდობა მოიპოვოს, რათა შემდგომში გასცეს ისინი. დაბოლოს, პავლე ბარნაბას და მის მეშვეობით მოციქულებსაც ხვდება. ბარნაბა წარმოშობით კვიპროსიდან იყო და უნდა სმენოდა პავლეს შესახებ: კუნძული კვიპროსი ხომ თავისებურ “ხიდს” წარმოადგენს, რომელიც კილიკიას სირიასთან აკავშირებს (კილიკიაში პავლეს ოჯახი ცხოვრობს, ხოლო დამასკო სირიის დედაქალაქია). ბარნაბა ადასტურებს პავლეს მოქცევის ჭეშმარიტებას და “გარანტად” უდგება მას. სწორედ ასე ცხოვრობდა პირველი ქრისტიანული ეკლესია: თავდებობითა და მოწმობით.

დადგა დრო და პავლეს შესაძლებლობა ეძლევა “კატეხიზაცია” გაიაროს თავად პეტრესთან, რომელსაც “ეკლესიის ბურჯი” უწოდეს. პეტრესთან - აღმდგარი იესოს პირველ მოწმესთან, სულთმოფენობის შემდეგ იესოს სახელის ძალით პირველი სასწაული რომ მოახდინა: “იყო კაცი ვინმე, დედის მუცლიდან საპყარი... უთხრა პეტრემ: “ვერცხლი და ოქრო არა მაქვს, ხოლო რაც მაქვს, იმას გაძლევ: იესო ქრისტე ნაზარეტელის სახელით, გაიარე!” ... წამოაყენა, და მას უცხად გაუმაგრდა ფეხები და



კოჭები. წამოხტა, დადგა და სიარული დაიწყო...” (საქმე. 3, 2-8); პეტრესთან, იუდეველების მიერ საპყრობილეში ჩაგდებულს, უფლის ანგელოზმა კარი რომ გაუღო და გაათავისუფლა (შდრ. საქმე. 5, 18-20); პეტრესთან, რომელმაც დავრდომილი განკურნა ლიდაში, იაფოში კი გარდაცვლილი დედაკაცი, სახელად ტაბითა, აღადგინა და “ცოცხალი წარუდგინა” წმიდებსა და ქვრივებს (შდრ. საქმე. 9, 32-34; 36-41); პეტრესთან, რომელმაც ასისტავის კორნელიოსის ნათლობით პირველმა გაუხსნა წარმართთა ცათა სასუფევლის კარიბჭე და ამით პავლეს საქმიანობას ნიადაგი განუმზადა (შდრ. საქმე. 10, 1-48); პეტრესთან - უდავოდ, ეკლესიის პირველ წინამძღოლთან, რომელსაც ქრისტემ დაუბარა: “...შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას... მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებს...” (მათ. 16, 18-19). პავლე ამ დიდი მოციქულის მოწაფე ხდება... შემდგომში კი მისი თანამშრომელი.

ამ შეუპოვარ მეომარს წინ ვერავინ აღუდგება, მან სახარება უნდა იქადაგოს. მოგვიანებით კი პავლე იტყვის: “...ვაი მე, თუ არ ვახარებ!” (1 კორ. 9, 16). იგი ქადაგებს ყველგან: წმიდა ქალაქის ქუჩებში, მოედნებზე. პავლე საუბრობს, ამტკიცებს, უარყოფს... განრისხებული იუდეველები გადაწყვეტენ ამ სასტიკი მტრის მოშორებას, მაგრამ ქრისტიანთა საკრებულო მზადაა გადაარჩინოს იგი. პავლეს ტარსუსში დროულად აგზავნიან და ევედრებიან დაიოკოს თავი, სანამ სული ღმრთისა თავად არ დაარღვევს მის იძულებით მდუმარებას.

ფრანგულიდან თარგმნეს  
ალექსანდრა მარგველაშვილმა და მანანა სულაძემ

## კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

### საქართველო სიდნეიში

სიდნეიში, ახალგაზრდობის მსოფლიო დღეებში საქართველოც მონაწილეობდა. თუმცა საქართველოს წარმომადგენლები ამჯერად უცხოელები იყვნენ: იტალიური ოჯახი, რომელიც საქართველოში მისიონერული მიზნით იმყოფება – იგნასიო და ჯოვანა კონტინები და მათი ქალიშვილი ანა და მე – პოლონელი მამა ადამ ოხალი, თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი. მაგრამ მთელი გულით და სულით ჩვენ იქ თავს ქართველებად მივიჩნევდით. ქართული დროშა ყოველთვის წარმოდგენილი იყო ყველა მთავარ ღონისძიებაში: პირველსავე დღის წირვაში, რომელიც აღავლინა სიდნეის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა ჯორჯ პელიმ; პაპის ოფიციალურ მისაღმების ცერემონიაზე და, რა თქმა უნდა, მთავარ მოვლენაზე – ღამე პაპთან ერთად, სოუტერნ კროს პრისინკტის გრადიოზულ იპოდრომზე შაბათის მწუხრზე და კვირის წმიდა წირვაზე.

განსაკუთრებულ პრივილეგიად მივიჩნევ იმას, რომ ესტონელებთან და რუსებთან ერთად, წილად გვხვდა ადგილი გემზე, რომელმაც პაპი ქალაქში შემოიყვანა. პაპის მისაღმება სიდნეიში მოხდა იმგვარად, რომ ერთი ნახევარკუნძულიდან სიდნეი ხარბორში პაპი დიდი გემით შემოვიდა (იქნებ ეს იყო პეტრეს სიმბოლო, როგორც ეკლესიის მესაჭისა? – მ. ა.) სადაც მას ხელისუფლებისა და ეკლესიის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, ბავშვები და უფროსი ასაკის წარმომადგენლები დახვდნენ. ამ ხომალდზე იმყოფებოდა მსოფლიოს სხვადასხვა საკრებულოების ახალგაზრდული ჯგუფები, დაახლოებით 1000 ახალგაზრდა. და იქ ჩვენი დროშა ამაყად ფრიალებდა. როდესაც გემი სანაპიროს გასწვრივ მიცურავდა ნაპირის მთელ სიგრძეზე უამრავი ხალხი იყო შეკრებილი და აქაც შევნიშნეთ ქართული დროშა, პაპის შესახვედრად ადგილობრივი ქართველებიც გამოვიდნენ.

## სახარების ქადაგება ქუჩებში

მთელი კვირის განმავლობაში სიდნის ეკლესიებში ყოველდღიურად ემზადებოდნენ პაპთან შესახვედრად. ტარდებოდა კატეხეზები და აღესრულებოდა შერიგების საიდუმლო. ჩვენი ჯგუფი გამოდიოდა ქუჩებში ჯვრით, დროშით, მღეროდა და სახარებას უქადაგებდა გამვლელებს. ბევრი რწმენაში საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებდა. ჩვენს ამგვარ ქმედებას გულთბილი რეაქციით ხვდებოდნენ: ხალხი ჩერდებოდა ჩვენთან, აინტერესებდათ საიდან ვიყავით, შევდიოდით მათთან დიალოგში და ჩვენი რწმენის გამოცდილებასა და პრობლემებს ვუზიარებდით. რადგანაც ქალაქარეთ ვცხოვრობდით და ცენტრამდე მატარებლით ერთი საათი გვჭირდებოდა, სახარებას ჩვენ მატარებელშიც ვქადაგებდით. იქ, მატარებელში უფრო ბევრ ადამიანს შეეძლო მოესმინა კეთილი უწყება და ესაუბრა ჩვენთან.

## შაბათის მწუხრი და წირვა პაპთან ერთად

ახალგაზრდობის დღის ცენტრალური მოვლენად ყოველთვის ითვლება პაპთან ერთად შაბათის ღამისთევა და კვირის წმ. წირვა. პაპმა თავისი ქადაგება, როგორც ღამით, ასევე წმ. წირვაზე სულიწმიდას მიუძღვნა. ახალგაზრდული დღეების ღოზუნგი იყო: მიიღეთ სულიწმიდის ძალა და იყავით ჩემი მოწმენი უამთა აღსასრულამდე. ამ სიტყვებს ჩვენ ხშირად ვმღეროდით, როგორც საგალობელს და ახალგაზრდული დღის ჰიმნს.

ახალგაზრდული დღეები – ესაა რწმენისა და კათოლიკობის დიდი მანიფესტაცია ორი გაგებით: რათა ჰაერში იყო 22 საათი (ზოგი 30 საათიც კი) და იმუშავო სპეციალურად ამ დღეებისათვის ძვირადღირებული ბილეთის შესაძენად, ან სამი წელი ეკონომიურად იცხოვრო, გადადო ამისათვის ყოველგვარი საყიდლები, უნდა გქონდეს რაღაც, თუნდაც რწმენის ჩანასახი და სიყვარული პაპისადმი. ამ წელს გზაც რთული იყო და ბილეთის ფასიც შედარებით მაღალი. იქ კარგად გამოჩნდა, რომ ეკლესია ცხოვრობს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში და კულტურებში. ავსტრალიაში, პირადად ჩემთვის, სასწაულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ აქ იყვნენ ახალგაზრდები პოლინეზიიდან და სხვა არქიპელაგებიდან, სადაც მისიონერებმა რამდენიმე წლის წინ გააფრცვლეს ქრისტიანობა და სადაც, ჯერ კიდევ XX საუკუნეში, კანიბალიზმის შემთხვევებიც ხშირად გვხვდებოდა. როგორც ფიჯის კუნძულების მომლოცველთაგან შევიტყე, ახლა ამ ქვეყნების ახალგაზრდები ხარობენ არა მარტო საკუთარი ქვეყნების დამოუკიდებლობით, არამედ ადგილობრივი ეკლესიებით, ეპისკოპოსებითა და მღვდლებით.

ახალგაზრდობის დღეებმა, ასევე გვიჩვენა, რომ ისინი სულიერად არიან დაკავშირებული უწმიდეს მამასთან. ისაა ერთიანობის სიმბოლო. Ubi Petrus ibi Ecclesia ახალგაზრდები გრძნობენ წმ. ავგუსტინეს ამ სიტყვების მნიშვნელობას: „სადაც პეტრეა, იქაა ეკლესია“. როგორც პალესტინის ხალხი, ისინიც მიჰყვებიან იესოს გზას. ეს ახალგაზრდები უსმენდნენ პაპს. და ის – ბენედიქტე XVI – საუბრობდა კონკრეტულად, მომთხონად, მოუწოდებდა, რათა აღუდგნენ რელატივიზმს, რომელიც ხელს უშლის ჭეშმარიტებას; და ასევე, მოუწოდა მამაცურად შეეწინააღმდეგონ ამა სოფლის კერპებს. განსაკოტრებით მტკიცედ მოუწოდა მეტად გახსნილიყვნენ სული წმიდის მოქმედებისთვის. „ადამიანი ქრისტიანი ხდება არა საკუთარი ქმედებებით, არამედ სული წმიდის მოქმედებით“, – ამბობდა პაპი. მან ჩვენ მოგვცა ასევე, პროგრამაც: „შექმენით მომავლის იმედი“, „იესო ქრისტე მოგიწოდებთ თქვენ, იყოთ ახალი ერის წინასწარმეტყველნი“.

ვიმედოვნებ, რომ ამ მხურვალე სიტყვებს განახორციელებთ თქვენს ცხოვრებაში და ჩადებთ მათ, როგორც საფუარს, თქვენს საკრებულოებში, ოჯახებსა და სკოლებში...

მამა ადამ ოხალი

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

## **☐ თქვენს მულწო ლეგ მეფიში ☐ ქმუკ ვ უბტელ უიმი ფიფლ შ ცფლეე შიოქ მშით ჰფე უგლ შ ვ ფიქფე უოფ**

2008 წლის 8 აგვისტოს, რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დანგრევამ, ინფრასტრუქტურის მოშლამ, კონფლიქტურ ზონაში მდებარე ყველა სოფლის, გორისა და კოდორის ხეობის დაბომბვამ გამოიწვია დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ნაკადი, როგორც თბილისსა და ქუთაისში, ასევე, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონის სხვა სოფლებსა და ქალაქებში.

აღნიშნულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქველმოქმედო ფონდი “საქართველოს კარიტასი” ერთ-ერთი პირველი, უმოკლეს დროში, ჩაება ჰუმანიტარული დახმარების აქციაში. დაწყებული 2008 წლის 10 აგვისტოდან ქ. თბილისის მერიას დევნილების დასახმარებლად გადაეცა “კარიტასის” საცხოვრებელი გამომცხვარი 500 პური, 200 კგ. თევზის კონსერვი და 165 კგ. ხორცის კონსერვი. შემდგომ, გლდანის ოლიმპიურ სპორტულ ცენტრში შესახლებული 350 დევნილისთვის “კარიტასმა” უკვე 13 აგვისტოს აამოქმედა სასადილო, დღეში სამჯერადი კვებით. “კარიტასის” სასადილოში აგრეთვე მზადდება ცხელი სადილი და მიეწოდებათ ყოველდღიურად 13 აგვისტოდან მუხიანში მდებარე №153 საბავშვო ბაღში ჩასახლებულ 240 დევნილს; 14 აგვისტოდან კი – მუხიანის ეკონომიკური სამართლის კოლეჯში შესახლებულ 130 დევნილს. აღნიშნულ სამ დევნილთა ცენტრს გადაეცა 4 ტონა მეორადი ტანსაცმელი და პირველადი დახმარების სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებები. გარდა ამისა, “კარიტასის” საცხოვრებელი ყოველდღიურად ამარაგებს პურ-ფუნთუშეულითა და საკონდიტრო ნაწარმით ისანში, ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის ტერიტორიაზე განთავსებულ 1700 დევნილს. “კარიტასის” ქუთაისის საცხოვრებელი გამომცხვარი პური და საკონდიტრო ნაწარმი მიეწოდება კოდორის ხეობიდან გადმოსულ დევნილებს. მათ აგრეთვე გადაეცათ 1 ტონა შაქარი და 324 ცალი ხორცის კონსერვი.

გლდანში და მუხიანში განთავსებული დევნილებისთვის (სამივე ცენტრში, სულ 720 სულზე) “კარიტასმა” შეიძინა და დაურიგა ლეიბები, ბალიშები, თეთრეული, პირსახოცები, სარეცხი საშუალებები, სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებები, პლასტმასის ტაშტები და სხვა აუცილებელი საგნები.

“კარიტასის” ძალებით, ზემოაღნიშნულ და სხვა დევნილთა დასახლებულ პუნქტებში დარიგდა მედიკამენტები და პირველადი დახმარების სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებები. “კარიტასი” აგრეთვე ზრუნავს დევნილების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე.

ზემოაღნიშნულ ჰუმანიტარულ აქციაში მონაწილეობას იღებენ მოხალისეები, მათ შორის კათოლიკე ეკლესიის მრევლთაგან.

“კარიტასის” ოფისის თანამშრომლები ყოველდღიურად აწვდიან სწორ და დაზუსტებულ ინფორმაციას სხვადასხვა ტელე-რადიო კომპანიებს, მათ შორის, ვატიკანის რადიოს, იტალიისა და პოლონეთის ტელეკომპანიებს და სხვა.

აგრეთვე მომზადდა ჰუმანიტარული დახმარების პროექტი და გადაეცა “Caritas Internationalis”-ს დასაფინანსებლად.

“საქართველოს კარიტასის” გენერალური დირექტორი მამა ვიტოლდ შულჩინსკი და ვატიკანის დესპანი საქართველოში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი 18 აგვისტოს ჩავიდნენ გორში და მოინახულეს იქ ჩარჩენილი მოსახლეობა, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. სავარაუდოდ, შემდგომში “კარიტასი” მიიღებს მონაწილეობას დანგრეული შენობების აღდგენაშიც.

“საქართველოს კარიტასი“

## სიცოცხლე ძალიან მოკლეა, რათა ბოროტება ჩაიდინო... კამილიელთა ოჯახის დასვენების დღეები

2008 წლის ზაფხულის ცხელ დღეს, პირველ აგვისტოს, საქართველოს კამილიელთა ოჯახის წევრები შევიკრიბეთ პოლიკლინიკა “კაცთა მაცხოვარის” წმ. კამილოს სახელობის ფსიქოთერაპიული სახლის წინ. ყველანი მოუთმენლად ველოდით მოგზაურობის დაწყებას. გავემგზავრეთ საღამოს 8 საათზე, როდესაც მზე ძალიან აღარ აცხუნებდა. ბათუმამდე შორი გზა გვქონდა გასავლელი, რაც კიდევ უფრო გვიხანგრძლივებდა ხალისიან განწყობილებას... მოგზაურობის სიამოვნებას ჩვენთან ერთად იზიარებდნენ ჩვენი ახლობლები და მეგობრები კამილიელთა ოჯახიდან. მათ შორის, მინდა გამოვყო მორჩილი აშხენი – სომხეთიდან და პოლონეთიდან, დაწყებითი კლასების პედაგოგი – ბეატა, რომლებთანაც ერთად ჩვენ 9 შესანიშნავი დღე გავატარეთ.

ჩვენი ყოველი დღე ლოცვით იწყებოდა და, როდესაც, ორშაბათ დილით შემოგვიერთდა მამა პავლე დილი – კამილიელთა ოჯახის წინამძღვარი, მსურველებს ეძლეოდათ ძვირფასი შესაძლებლობა დღე წმ. წირვით დაეწყოთ და მიეღოთ წმ. ზიარება. საუზმისა და სადილის შემდეგ, რომლებსაც ჩვენს მიერ ყოველდღიურად არჩეული მორიგეები ამზადებდნენ, გონიოს პლაჟზე მივდიოდით. სამწუხაროდ ჩვენს დასვენებას წვიმიანი და ქარიანი დღეები დაემთხვა, მაგრამ ზღვა თავისი ტალღების ყოველსმომცველი ძლიერებით, მზის სხვივებით შეფერადებული ზედაპირით, მაცოცხლებელი შხეფების არომატითა და ტალღების მიერ მწვანე სივრცეში გამორიყული მრავალფეროვანი კენჭებით, სევდისა და მოწყენის საშუალებას არ გვაძლევდა და სიხარულით ავსებდა ჩვენს გულებს. ვახშმის შემდეგ იწყებოდა მწუხრის ლოცვა, რომლის შემდეგაც ჩვენ მეგობრულად ვერთობოდით მხიარული თამაშებით, ვსაუბრობდით და მუსიკას ვუსმენდით.

5 აგვისტოს მოვინახულეთ ბათუმის აკვარიუმი და უამრავი სხვადასხვა სახეობის თევზი ვიხილეთ. 6 აგვისტოს (ისევე როგორც 3 აგვისტოს) ვესტუმრეთ ბათუმის კათოლიკურ ეკლესიას და ადგილობრივ მრევლთან და სტუმრებთან ერთად ვიდღესასწაულეთ უფლის ფერისცვალება. მამა პავლე დილმა წარმოთქვა შესანიშნავი ქადაგება, რომელიც, ჩემი აზრით დიდხანს დარჩება მრევლის წევრთა გულებში.

წირვის შემდეგ ჩვენ ვსეირნობდით ბულვარში, ვხარობდით ქალაქის ილუმინაციებითა და სიმშვენიერით; დამსვენებელთა სიჭრელეში მივიკვლევდით გზას და ზღვის ნიჟარებისაგან დამზადებულ სხვადასხვა სამშვენიესებსა და სუვენირებს ვყიდულობდით. სასიამოვნო განცდებით დადღილებმა და მოშიებულებმა ერთ რესტორანში მოვიკალათეთ და აჭარული ხაჭაპურიც დავაგემოვნეთ. ამავე ღამეს მოვინახულეთ ცნობილი „მომღერალი შადრევანი“, რომელმაც გაგვაოცა თავისი დიდებულებით.

მეორე დილით სარფში გავემგზავრეთ. დღის ბოლოს, ჩვენი გამომგზავრების წინა საღამოს, ცნობილი გახდა, რომ ქვეყანაში პოლიტიკურმა მდგომარეობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია: იხოცებოდნენ გორისა და სახრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოქალაქეები და ჯარისკაცები. საღამოს ლოცვაზე ჩვენ

მსურვალედ ვლოცულობდით მიცვალებულთა სულების, დაჭრილებისა და მათთვის, ვისაც ხელეწიფებოდა შეეწყვიტა ეს უაზრო ომი და თავიდან აეცილებოდა უდანაშაულოთა სისხლისღვრა.

9 აგვისტოს დილით წმ. წირვა აღვაველინეთ ჩვენი იტალიელი მეგობრების სახლში – “იმედის სახლში”. საერთო ღოცვისა და საუზმის შემდეგ ყველანი შევიკრიბეთ და ველოდით მამა პავლეს განკარგულებას – დავრჩენილიყავით ბათუმში თუ დავბრუნებულიყავით თბილისში. ბევრი ყოყმანის შემდეგ მამა პავლემ თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა. მიუხედავად დიდი რისკისა, რაც გამოწვეული იყო გორის განუწყვეტელი დაბომბვით (რომელზეც ჩვენი გზა გადიოდა), ჩვენ მაინც დავადექით ამ გზას და მივენდეთ უფლის გულმონწყალებას. თითოეული ჩვენგანი სულის სიღრმეში ღოცულობდა სახლში მშვიდობით დაბრუნებაზე, მიცვალებულებზე და დაჭრილებზე... მიუხედავად დიდი შიშისა ჩვენ მივენდეთ უფალს და სულის სიმშვიდე შევინარჩუნეთ. გორის ქუჩებში ისეთი სურათი ვიხილეთ, რომელიც არასოდეს წაიშლება ჩემი მესხიერებიდან. უბედური ჩემი მიწა, კიდევ რამდენ ხანს უნდა ეწამოს ბომბების აფეთქებით და იკვნესოს მძიმე სამხედრო ტექნიკის ქვეშ?! კიდევ რამდენ ხანს უნდა იტანჯოს ჯარისკაცთა ჩექმების, დაჭრილთა, დევნილთა, ბავშვებიანი დედების ნაბიჯებს ქვეშ?! კიდევ რამდენ ხანს უნდა იკვებოს ჩვენი სისხლით, და საფლაავებში დაფლას ჩვენი სისასტიკისა და ეგოიზმის კვალი, ნაცვლად იმისა, რომ დაიფაროს ხორბლის ყანებითა და მოირწყას ყურძნის წვენით?! კიდევ რამდენ ხანს უნდა უცქიროს უბედურ ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს ყველაფერი, რაც მათთვის ძვირფასი და ახლობელი იყო?! კომშიარიდან გამოსული ადამიანები კი აფეთქებებისა და ხანძრისაგან გადარჩენილ საკუთარი სახლის ნანგრევებსდა იხილავენ. მამაკაცები ტიროდნენ საკუთარი უილაჯობის გამო, რათა არ შეეძლოთ შეეჩერებინათ ეს უსამართლო ომი. სიცოცხლე ძალიან მოკლეა, რათა ბოროტება ჩაიდინო...

ჩვენ მშვიდობიანად დავბრუნდით სახლებში საღამოს ცხრის ნახევარზე. ჩვენი მოგზაურობა დასრულდა სასიხარულო ნოტიო – უფლისადმი აღვუენილი ღოცვით.

**ალისა ლეჟავა**  
კამილიელთა ოჯახის წევრი

## **ექსკურსია დიდი მგოსნის მშობლიურ კუთხეში**

26 ივლისის ღამაზე, მშვენიერ დილას, ჩვენ, ქუთაისის ყოვლადქალწული მარიამის უბიწო ჩასახვის კათოლიკური ეკლესიის მრევლი კამპოსკოლის ბავშვებთან ერთად ექსკურსიაზე წავედით. ჩვენი მიზანი იყო გვეხილა აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი სხვიტორი და მასთან ახლოს მდებარე ძიძისეული სოფელი სავანეთი.

ჩვენ თვალწინ უღამაზესი პეიზაჟი გადაიშალა, ყველანი აღტაცებულნი ვიყავით ბუნების სიმშვენიერით. ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა დიდი აკაკის სიტყვები, რომლებითაც იგი თავის მშობლიურ კუთხეს ამკობდა ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში – “ჩემი თავგადასავალი”.

აკაკის სასახლის აივნიდან უღამაზესი პანორამის ხილვისას ჩვენს მესხიერებაში ამოტივტივდა საგალობელი დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან: „აკურთხეთ, მთანო და ბორცვნო უფალი, აკურთხეთ უფალი, ყოველნო მცენარენო დედამიწაზე, აკურთხეთ წყაროსთვალნო უფალი, აკურთხეთ ზღვანო და მდინარენო უფალი“.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აკაკის სახლმა. სასტუმრო ოთახში ვნახეთ ბევრი ისეთი ნივთი, რომლებიც აკაკისათვის ძვირფასი და ახლობელი იყო. ჩვენ კი მათი დანახვა ათეული წლების შემდეგაც ძვირფას მგოსანს

გვასხენებს და ისტორიის სიღრმეში გადაყვართ. დავათვალიერეთ პროექტის – დის ანასა და აკაკის შვილის – ალექსის ოთახებიც. მაგრამ ჩვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება აკაკის ოთახის დათვალიერებამ მოახდინა. ეს ოთახი პროექტის საძინებელიც იყო და კაბინეტიც. აქვე იყო აკაკის დედის სამლოცველო ადგილი, სადაც ხატები ესვენა.

შინ დაღლილები, მაგრამ კმაყოფილები დავბრუნდით. სხვიტორში ნანახი და განცდილი კი დიდხანს ემახსოვრება თითოეულ ჩვენგანს.

## **ქუთაისის საკრებულოს წევრები**

### **ღმერთმა დაგლოცოთ თქვენი მსახურებისათვის!**

ძნელია სიტყვებით გამოხატო მადლიერების ის გრძნობა, რომელმაც თითქმის ორი წელია მოიცვა ჩემი და ჩემი ოჯახის წევრთა გულები. ვფიქრობდი პირადად გადამეხადა მადლობა კამილიელთა პოლოკინიკა “კაცთა მაცხოვრის” ხელმძღვანელობისა და მთელი მედპერსონალისათვის, მაგრამ ვერ შევძელი – მორიდებისა თუ მორცხვობის გრძნობამ დამძლია. თანაც მეშინოდა, ვაი თუ ისე ვერ გამომეთქვა ჩემი გულისნადები და ფარისევლური სიტყვების გროვა არ აღმოჩენილიყო. ბოლოს გადავწყვიტე “საბას” მეშვეობით ვუთხრა მადლობა იმ კეთილ ადამიანებს, რომლებიც მაღალი პროფესიონალიზმითა და კეთილი გულით, უანგაროდ ემსახურებიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს. ჩემი ოჯახიც სოციალურად დაუცველ ფენას მიეკუთვნება, ამიტომ საშუალება არა გვაქვს, თავს ფუფუნება მივცეთ და ძვირადღირებულ კლინიკებსა და საავადმყოფოებს მივმართოთ საკურნალოდ.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, ბატონი იური, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ჩემს შვილს მურმანს, რომელმაც ფეხის ტრამვა მიიღო თურქეთში სამუშაოდ ყოფნის დროს. მას იქვე ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია, მაგრამ მკურნალობა ვერ დაასრულა და ინვალიდი დაბრუნდა იქიდან. რომ არა ბატონ იურის დიდი პროფესიონალიზმი, გულისხმიერება და კეთილი მიღება, ჩემი შვილი ვერ შეძლებდა მკურნალობის დასრულებას.

ღმერთმა დაგლოცოს პოლიკლინიკის მთელი კოლექტივი. დაე, ნურასოდეს დატოვებს მათ ადამიანებისადმი მსახურების სურვილი. ვუსურვებ ყველას ჯანმრთელობას და ბედნიერებას. ღმერთი იყოს ყველას მფარველი.

## **მარგალიტა მეტივიშვილი**

აქტუალური თემა

### **დასმული კითხვები**

“რამდენი დივიზია ჰყავს პაპს?” – ალბათ, ყველას ახსოვს სტალინის ეს დამცინავი შეკითხვა. საბჭოთა კავშირის ამ ოსური სისხლნარევი “მამის” ეს სარკაზმი დღევანდელი რუსული ბარბაროსობის სახით დაატყდა თავს მის მშობლიურ გორს: დანგრეული ოჯახები... მოკლული ახალგაზრდები... ნაცემი მოხუცები... უსახლკაროდ დარჩენილები...

ცინიკურად დემონსტრირებული ძალის უკან “კარგად” იმალება ცარიზმის დროინდელი რუსული იმპერიალისტური მიზნები: რუსეთს უნდა, რომ იყოს დასავლეთისათვის ენერგეტიკული წყაროების ერთადერთი მიმწოდებელი, როგორც საკუთარისა, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნებისა... მიზნების დამალვა კი, რა თქმა უნდა, ველურ სახეზე თანამედროვე ევროპული მაკიაჟის

გაკეთებით ხდება: მშვიდობის დამცველები, ერთაშორისი სამართლიანობის მოდარაჯენი, “ჩაგრულ ოსთა და აფხაზთა” განმათავისუფლებლები და ა. შ. ერთი სიტყვით, საწყალ ქართველზე უკეთესად ვინ იცნობს რუსულ ხელს?...

ევროპა? ახლა, 27 სახელმწიფოზე საუბრობენ ერთად, რომელთა უმრავლესობასაც ჯერ კიდევ ამჩნევია რუსეთის მიერ მიყენებული ისტორიული ტრამვა. თუმცა რუსეთი საკმაოდ ქედმაღლურად აჩვენებს, რომ მისი ენერჯის მთავარი მომხმარებელია და რომ იგი უნდა გაჩუმდეს, რუსეთს ერთმანეთში ერევა მომხმარებლურობა და დამოკიდებულება. უღალატებს კი რუსეთზე დამოკიდებული ევროპა კანონებს? დამყარებული სტაბილურობის საფუძვლებს? ალბათ, რუსეთისთვის ჯერ კიდევ უცნობია თავისუფალი ბაზრის პრინციპები... დაკარგავს კი რუსეთი თავისი ენერჯო რესურსების 26%-ის გასაღების ბაზარს?

საქართველო? ყველაზე პოზიტიური შედეგი ამ ომიდან ე.წ. “ეთნოკონფლიქტის” უფრო მაღალ, რუსეთ-საქართველოს ომის დონეზე გადატანაა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რომ დიდ დროს ატარებს ზამთრის სიცივეებში, ეს მის ცნობიერებასაც ამჩნევია. მუდამ სასოწარკვეთილი ცდილობს ყოველი პრობლემის გაყინვას: “უძრაობის პერიოდი”, 18 წლიანი მოუმთავრებელი ეთნოკონფლიქტები და ა.შ. ალბათ, ინტერნეტში გამოჩენილი მეტსახელი “ცხელთავა” თუ გააღებოდა მათსავე ჩაყინულ პრობლემებს...

უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი მარცხისა და უძღურების მიზეზების ამოცნობა, ვიდრე “რახელისეული მოთქმა-გოდება”. პირველი, რამაც შეშარა ეს იყო პანიკა, რომელსაც ქუჩებში გამოსული მობილურიანი ადამიანები ავრცელებდნენ: რუსების ტანკები აგერ სამტრედიაში მოვიდნენ, აგერ ქუთაისში, აგერ თბილისში!!! ჩვენს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებულ საზოგადოებრივ სტრუქტურაში. კითხვები, რომლებიც ჩნდებიან ესენია: რატომ ვერ ვქმნით იმ საზოგადოებრივ სტრუქტურებსა და სისტემებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან ხალხის მიერ დაფიქსირებულ არჩევანთან: დემოკრატია, თავისუფლება, ევროკავშირი? ძნელი გასარჩევი იყო პარალელურ მედიაომში ტყუილი და მართალი, როდესაც ორივე მხრიდან ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ისმის. ვიღაცას შეიძლება ახარებდეს ჭირში ერთად დამდგარი პოზიცია-ოპოზიცია, მაგრამ ოპოზიციის მიერ მოწყობილი ნოემბრის ამბები კარგად უდასტურებდნენ ყველას, რომ ერთიანობა კვლავ შორსაა ჩვენგან. ამომრჩეველებს აარჩევინეს თავი და შემდეგ უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე, რათა დაედანაშაულებინათ სააკაშვილი საქართველოში დამყარებული ერთპარტიული ნეოკომუნიზმით. ყოველი სახლის ძალა ერთიანობაშია. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იკისრა ერთიანობის მიღწევის მედროშეობა, მისგან კიდევ შორს ვართ. რატომ? თუ კი სამართლიანობას უმრავლესობის აზრით ჩაანაცვლებ, სახარებას კი ნაციონალური იდეოლოგიით, ქადაგებას პროზელიტიზმით, სიყვარულს ლანძღვითა და ცილისწამებით, ამით მხოლოდ ათ მცნებას კი არ არღვევ, არამედ ქარს თესავ და ქარიშხალს მოიძიკი...

განა ჩვენც, კათოლიკეებმა, ისეთივე მოპყრობა არ განვიცადეთ ზოგიერთი ჩვენი მართლმადიდებელისაგან, როგორც საქართველომ რუსეთისაგან? და თუ კი მთავარი პროპაგანდაა, მოთმინების გარდა რა დაგვრჩენია? ჭეშმარიტების გარჩევა ტყუილისაგან კი ტკივილით ხდება. ერთი სიტყვით, საქართველოში ყველაფერი თავიდან არის დასაწყები: თავისუფლება შინაგანი თავისუფლებით იწყება, სინდისის თავისუფლებით. მხოლოდ ასე ვხდებით სულიერი ადამიანები, თორემ საბჭოთა კავშირშიც კი ვცხოვრობდით სულიერი ცხოველებივით ამ თავისუფლების გარეშე. გვაქვს კი ახლა არჩევანის თავისუფლება: ვირწმუნო ქრისტე თუ არა, მივყვე მართლმადიდებლურ იდეოლოგიას თუ არა, ვიბრძოლო თავისუფლებისათვის თუ არა, შევიყვარო თუ არა, მოვკლა თუ არა. ამაზე პასუხი თითოეულისათვის მომინდვია. პრეზიდენტი ყველას პრეზიდენტი და მამა

უნდა იყოს. თუმცა საქართველოში ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს ამ ქვეყანაში სამართალი და მომავალი მხოლოდ მართლმადიდებლებისთვის იყოს. განა მართო ისინი ზრუნავენ ლტოლვილებზე, ღარიბებზე, ავადმყოფებზე, რომ ტელევიზიით მთელი ხალხის წინაშე, მოკირებულ პრეზიდენტს კარნახობენ მადლობა გამოუცხადოს “მეუფეებს”. ნუთუ თვით მართლმადიდებლური ეკლესია არ სვამს კითხვას, რატომ არ შეუძლია მას აფხაზეთსა და ოსეთში სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად სახარების ქადაგება? მსოფლიო უარს ამბობს ატომურ იარაღზე და მიმართავს დიალოგს. არის კი ვინმე ჩვენში ვინც წავა აფხაზეთთან და ოსებთან დიალოგზე? ნაციონალური პროპაგანდის გამო სისხლში ისე გაგვიჯდა ეთიკური იდენტობის დომინანტურობა, რომ სხვებთან მხოლოდ იარაღით უნდა ვილაპარაკოთ?

აფხაზები და ოსები? ნამდვილ სინანულს იმსახურებენ და არა სიძულვილს! წინ მართლა თვითგამორკვევა და დამოუკიდებელი განვითარება ელით? თუ რუსული პასპორტიზაციით დაწყებული ასიმილირება და საკუთარი ენისა და გვარის გაქრობა? მომავალი გვაჩვენებს... ახლა კი, რუსული დუმას წინაშე დამნაშავეებივით ატუხულ მათ ლიდერებში მხოლოდ “დედა რუსეთისადმი” ინცესტური ლტოლვა იკითხება. ინცესტი თავისი ფართო მნიშვნელობით: დაბრუნება იმ გარემოში, იმ წიაღში, სადაც შენ “შენ” არ იყავი, სადაც შენი სახე არ გქონდა. თვით დედამიწის წიაღი, სადაც სხეული ბრუნდება დასაშლელად... თავისუფალ არჩევანზე პასუხისმგებლობა გარდაუვალია.

ვფიქრობ, ამ თვრამეტ წელზე, როცა ნელა და მტკივნეულად იკვეთებოდა საქართველოს სახე, რომელზეც მსოფლიოს მედია განუწყვეტელი საუბრობდა ამ ბოლო პერიოდში. თავისუფლებისთვის ბრძოლაში დიდი მსხვერპლია გაღებული, მაგრამ რატომ არ ვიშორებთ იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც თვით ჩვენშია? თვით ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას...

## ედვარდ გოგილაშვილი

გამოჩენილი კათოლიკე მამულიშვილები

### 30 აგვისტო – მამა გაბრიელ ასლანიშვილის მოხსენიების დღე

#### გაბრიელ ასლანიშვილი

26-27 სექტემბერი – მამა გაბრიელ ასლანიშვილის მოწამეობრივი

#### სიკვდილის 78 წლისთავი

ბოლშევიკური რევოლუციის შემდგომი პერიოდი საშინელი რეპრესიებისა და ტერორის ხანაა. ცნობილია, რომ ისინი განსაკუთრებული სისასტიკით სდევნიდნენ მათთვის არასასურველ პირებს. იდეენებოდა როგორც რიგითი მოქალაქეები, ისევე რელიგიის მსახურნიც, განსაკუთრებით კი კათოლიკე ეკლესიის მღვდელმსახურნი. ისინი ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ საზღვარგარეთის ჯაშუშებად აღიქმებოდნენ. მათ ყოველმხრივ ზღუდავდნენ, დაწესებული იყო თვალთვალი, იქმნებოდა მაკომპრომეტირებელი მასალები.

ჩვენ ხელთა გვაქვს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საქმე №767 გაბრიელ იოსების ძე ასლანიშვილის ბრალდებულობის შესახებ.

ღონ გაბრიელი იყო ბათუმის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესიის მოძღვარი. მას რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა. აღსანიშნავია, რომ ეკლესია ძირითადად ქართველ კათოლიკეთა, განსაკუთრებით ზუბალაშვილების შრომითა და ხარჯით აშენდა, მაგრამ მას თავიდანვე ეცილებოდნენ ქართველ კათოლიკეებს,



რომლებიც იმ ხანად ბათუმში მრავლად სახლობდნენ. მამა გაბრიელი მტკიცედ იდგა და მას ვერაფერი მოუხერხეს.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ მასზე გაძლიერდა ზეწოლა, როგორც გარეშე, ასევე, ბოლშევიკების მიერ მოსყიდული შინა მტრებისაგან. გახშირდა დასმენები, როგორც “ჩეკაში”, ისე უმაღლეს სამღვდელთა ხელისუფლებაში. ბოლოს და ბოლოს მათ მოახერხეს ბათუმის მრევლისაგან დონ გაბრიელეს ჩამოშორება.

ამის შემდეგ ინტენსიურად ამოქმედდა პოლიტსამმართველოს მანქანა. 1930 წლის 12 თებერვალს იგი დააპატიმრეს თბილისში. ჩხრეკისას ამოიღეს პირადი ნივთები, მათ შორის, ოქროს საათი. დონ გაბრიელეზე წლების მანძილზე უამრავი მაკომპრომეტირებელი მასალა ჰქონდათ შეგროვილი, მაგრამ არ გააჩნდათ ნივთმტკიცება, რაც ნათლად არის ჩაწერილი მათსავე ოქმში.

დონ გაბრიელს ბრალად სდებდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების სასარგებლო ჯაშუშობაში, 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების მონაწილეობაში, ჯაშუშების მფარველობაში, საზღვარზე მოქალაქეთა არალეგარულად გადაყვანაში, მევახშეობაში და სხვ. მისი ყველა თხოვნა უგულვებელყოფილი იქნა. 70 წელს მიღწეულ, სწეულ, მხედველობადაქვეითებულ, მოხუც მოძღვარს გამაღიძვებელი შუშებიც კი ჩამოართვეს და წაკითხვის საშუალებაც მოუსპეს. ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფს მოუწია მას მეტეხის ციხის საკანში რამდენიმე თვის გატარება.

პროკურატურა ითხოვდა მისი საქმის სასწრაფოდ დასრულებას. გამოძიებას აწარმოებდა პოლიტსამმართველოს რწმუნებული სვირიდოვი. ეტყობოდა კათოლიკე მღვდლის ბედი ბოლშევიკურ მთავრობას წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი. 1930 წლის 23 ივნისს ძიება დასრულებულად გამოცხადდა. გამოძიება ეყრდნობოდა ცალკეულ მოქალაქეთა დასმენებსა და ჩვენებებს. საქმეში არ არსებობდა არავითარი ნივთმტკიცება. 1930 წლის 14 აგვისტოს საქართველოს პოლიტსამმართველოს კოლეგიის სხდომის დადგენილებით დონ გაბრიელ ასლანიშვილს მიესაჯა დახვრეტა. დადგენილებას ხელს აწერს კოლეგიის მდივანი იაკობაშვილი. დონ გაბრიელის პირად ნივთებს და ოქროს საათს პოლიტსამმართველომ გაუკეთა კონფისკაცია.

ასეთია ქართველი კათოლიკე მოძღვრის, დონ გაბრიელ ასლანიშვილის ცხოვრების დასასრულის სევდიანი ამბავი, რომლის ერთადერთი დანაშაული ქრისტიანული რელიგიისა და კათოლიკე ეკლესიის ღირებულებათა მტკიცე დაცვა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, კაცთმოყვარეობა, გაჭირვებულთათვის ხელის გამართვა და ადამიანების ნდობა იყო.

P.S. ჩვენთვის ცნობილია მისი დახვრეტის დრო 26. IX-27. IX, 1930 წ. ეს წერილი ეყრდნობა შსს-ს არქივში დაცულ გაბრიელ იოსების ძე ასლანიშვილის საქმეს.

**თენგიზ პარმაქსიზიშვილი**  
ბათუმი

ინტერვიუ

**სინდისისა და მრწამსის საკითხებისადმი გუნდური  
მიდგომა არ არსებობს**

*ჟურნალ „საბას“ წინამდებარე ნომრიდან ვიწყებთ ინტერვიუების სერიას საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების*

წარმომადგენლებთან. ეს ინტერვიუები ჩვენი ჟურნალის მკითხველს საშუალებას მისცემს, უფრო ახლოდან გაიცნოს ის ადამიანები, რომლებსაც თავიანთი საქმიანობით გარკვეული წვლილი შეაქვთ ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში. ჩვენს მკითხველს ექნება საშუალება ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას მიაწოდოს მისთვის საინტერესო კითხვები, რომელთაც შემდგომ, შესაბამისი ადრესატი უპასუხებს. სექტემბრის ნომრის პირველ სტუმრად კი პარლამენტარი პეტრე მამრადე მოვიწვიეთ, რომელიც მიუხედავად თავისი დაკავებულობისა და ივლისის თაკარა სიცხისა, სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუს მოცემაზე. ინტერვიუ მეტად საინტერესო და, ამავე დროს, საკმაოდ ვრცელი გამოვიდა. ბატონ პეტრე მამრადეს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება, იგი 13 წელი სახელმწიფო კანცელარიის ხელმძღვანელი გახლდათ და ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი პრინციპულობით. სხვადასხვა ფორმატის რელიგიურ ფორუმებზე დასწრებას, სხვა სახელმწიფო მოხელეებისგან განსხვავებით, არასოდეს გაურბოდა და თავის პირად აზრსაც ყოველთვის გულღიად გამოხატავდა.

აღბათ, ამიტომაც იგი იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეებს შორის, რომლებიც საზოგადოებაში ყოველთვის დიდი პატივისცემით სარგებლობენ. დღეს ბატონი პეტრე საქართველოს პარლამენტის წევრია და ქვეყნის საკანონმდებლო მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით ხშირად ვხვდებით ტელეეკრანებზე.

*ნუგ ზარ ბარდაველიძე*

**ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში მომზადებული იყო კანონპროექტი რელიგიის შესახებ, მაგრამ მიზეზთა გამო პროექტიც აღარ განუხილავთ. საინტერესოა ახლანდელი პარლამენტი თუ მიუბრუნდება ამ კანონპროექტს?**

ვერც კი მოვასწარი ამ და სხვა საკითხებში გარკვევა. ჯერ მხოლოდ რიგგარეშე სესია ჩავატარეთ. ვაპირებთ სექტემბრამდე მაქსიმალურად გავერკვეთ იმ დოკუმენტებში, რომლებიც სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე გვაქვს, ჩვენი სამოქმედო გეგმა შევქმნათ და მიზანდასახულად ვიმოქმედოთ. რაც შეეხება ამ პროექტს აქ მთავარი რეგისტრაციის საკითხია. აქამდე სახელმწიფო შპს-ს სტატუსს სთავაზობდა რელიგიურ ორგანიზაციებს, რაც სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებს ხელს არ აძლევს, ეს სტატუსი არ შეესაბამება დემოკრატიული სახელმწიფოს არსს.

მართალი ბრძანებით, შპს-სთან გათანაბრებაზე წინააღმდეგი არის კათოლიკე ეკლესია, რამდენადაც ვიცი, სომხური სამოციქულო ეკლესიაც, რადგან ეს რელიგიური გაერთიანებები საქართველოში საუკუნეების მანძილზე არსებობენ. კათოლიკე ეკლესიამ ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა შექმნა. საქართველოში კათოლიკე ეკლესია მრევლის რაოდენობის მხრივ მესამე ადგილზეა (მსოფლიოში რომის წმინდა სამოციქულო და კათოლიკე ეკლესია მორწმუნეთა რაოდენობით პირველია). და მისი შპს-ს სახით რეგისტრირება, მსგავსად რამდენიმე ათეული წლის წინ შექმნილი სექტებისა, ცხადია, კათოლიკეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

შეზღუდვებისა და აკრძალვების სისტემას კარგი არაფერი მოაქვს. ეს გახლავთ კონტროლუქტიული ქმედება, მას საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს და, როგორც ერთმა ცნობილმა კათოლიკე იერარქმა განაცხადა, ეკლესია არ არის შპს, როგორც მაგალითად კოკა-კოლა და მისი მსგავსი ორგანიზაციები და ამგვარი რეგისტრირება მკრეხელობაა.

მე მაქვს პირუთენელი პოზიცია, რომ ძალზე მნიშვნელოვანია, არ გამოგვრჩეს არც ერთი ეკლესია. ადამიანი თავისუფალია თავისი რწმენით აირჩიოს ეკლესია. მაგალითად, კათოლიკე ეკლესია მნიშვნელოვანია მსოფლიო მასშტაბით, ამას კომენტარი არ სჭირდება. მაგრამ შეგახსენებთ ერთ ქართველ მოღვაწეს – სულხან-საბა ორბელიანს. იგი უდიდესი ქართველია მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე. ვიცით სამარცხვინო ეპიზოდი, როდესაც ბნელმა ადამიანებმა წვერით ათრიეს სულხან-საბა. მით უფრო სამარცხვინოა, რომ ზოგჯერ იგივე სიბნელეს დღესაც ვაწყდებით, როდესაც კათოლიკე თანამემამულეებს ლამის მწვალებლებად მოიზრებენ ხოლმე.

**საქართველოს ისტორია რომთან და კათოლიკე ეკლესიასთან ურთიერთობის თითქმის რვა საუკუნეს ითვლის, საუკუნეების მანძილზე ეს ურთიერთობა საკმაოდ თბილი იყო, დაპირისპირება არ ყოფილა. საბჭოთა პერიოდში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და რომის პაპს მეტად თბილი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. აშკარა იყო საზოგადოების სიმპათიებიც კათოლიკე ეკლესიისა და ქართველი კათოლიკე მოღვაწეების მიმართაც. სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულის მანძილზე მთელი დაწოლა ქართველ კათოლიკეებზე იქნა გადატანილი. მანამდე ანტიპროტესტანული (ანტისექტანტური) კრიტიკა მიზანდასახულად გადატანილ იქნა კათოლიკური ეკლესიის მიმართ. ეს ანტიკათოლიკური ისტორია საეჭვოდ ემთხვევა რუსეთში აგორებულ ანტიკათოლიკურ ტალღას.**

მთლად ია-ვარდით მოფენილი ურთიერთობა არა, მაგრამ დიდი პრობლემებიც არ ყოფილა. საქართველოში ქართველ მეფეთა მოწვევით მრავალი მისიონერი მოღვაწეობდა. მე მინდა გავიხსენო ისტორიის ახალი პერიოდიც, საქართველოში საბჭოთა პერიოდში ვიზიტით ჩამოდიოდა კლავდიო გუჯეროტი, დღეს იგი ვატიკანის ელჩი და მთავარეპისკოპოსია. გუჯეროტი როდესაც თბილისში ჩამოდიოდა მას სიონში იწვევდნენ, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მონაწილეობდა ერთობლივ წირვებში და ერთობლივ თანაზიარებაში. გვახსოვს უწმინდესისა და უნეტარესის ქადაგებებიც, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის არავითარი სხვაობა და დაპირისპირება არ არსებობს, თუ არა ისტორიული გაუგებრობანი. რომ ეს არის ერთიანი ქრისტიანული ეკლესია. ეს იმ ხანად იყო, როდესაც საქართველო იყო მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსა და ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წევრი. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გახლდათ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანათავმჯდომარე. ამის შემდგომ ბნელი ძალების ზემოქმედებით საქართველოს ეკლესიამ დატოვა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო. ეს ძალები ძირითადად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

**მრავლისმეტყველი გახლავთ ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთის გავლენით ტოვებს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, თუმცა თავად მოსკოვის საპატრიარქო კვლავაც რჩება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აქტიურ წევრად. ჩვენ კი საკმაოდ გავლენიანი საერთაშორისო ტრიბუნა მოგვაკლდა, მით უმეტეს იმ დროს, როდესაც ძალზე გვჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა რუსეთის აშკარა პოლიტიკური ზეწოლების ვითარებაში. საინტერესოა, რა არის ბოლო ხანების ანტიკათოლიკური პოლიტიკის ფარული მიზეზი?**

მოგახსენებთ, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ეკლესიის მრევლი, მით მეტია კონკრეტულ კლერიკალთა მატერიალური შემოსავალი. აი, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ანტიკათოლიკური დაპირისპირებისა.

ეს იგი ეს არის არაფორმალური აღიარება, რომ დღეისათვის ყველაზე ძლიერი კონკურენტი მართლმადიდებლებისათვის საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესია გახლავთ. ეს ერთგვარად საპატიო მიზეზიც ყოფილა.

სამწუხაროდ, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სწორედ ის არის, რომ ადამიანები ზრუნავენ თავიანთ პირად შემოსავალზე და პოლიტიკურ გავლენებზე.

მე არა ვარ მორწმუნე, ხშირად ავლნიშნავ, რომ არ ვყოფილვარ არც კომკავშირის, არც კომპარტიის წევრი. არ ვარ მორწმუნე და არც ვმაღავ ამას. მე კარგად მახსოვს მავანი და მავანი ადამიანების გამომეტყველება, როდესაც ირკვეოდა რომ კომკავშირელი არ ვიყავი. „აჰ, შენ კომკავშირელი არა ხარ?!“. ზუსტად იგივე ხალხი იგივე სპეციფიკური გამომეტყველებით დღეს გაიძახის „აჰ, შენ არა ხარ მორწმუნე?!“. ერთხელ ერთმა მეგობარმა მითხრა „შეხედე ამათ, ერთ დღეს, უეცრად რომ აღმოჩნდეს, უფრო მომგებიანია იყო მუსლიმი, ერთ საათში ყველა მიაწყდება მეჩეთს და გამოაცხადებს, რომ სრული ორთოდოქსი მუსლიმი“.

ეს არის საბჭოთა კომუნისტური ტოტალიტარიზმის, ბოლშევიკური რეჟიმის 70 წლიანი ბატონობის შემზარავი მემკვიდრეობა. ისიც მახსოვს, მავანი და მავანი როგორ აცხადებდა „როგორ ბედავს მამრადე იყოს სახელმწიფო სამსახურში და ამავე დროს თავხედურად აცხადებდეს, რომ არ არის მორწმუნე“. ერთი სიტყვით, ამგვარი ადამიანებისათვის ვინც გინდა იყავი, ოღონდ ხმამაღლა არ განაცხადო, რომ მორწმუნე არა ხარ.

საბჭოურ 70-წლიან რეჟიმთან ერთად, ალბათ არც რამდენიმე საუკუნოვანი პერიოდი უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, როდესაც ირანისა თუ ოსმალეთის სამსახურში მყოფი მედროვე ქართველი დიდგვაროვნები წინადაცვეთილებიც იყვნენ და თან, ყოველი შემთხვევისათვის, ჯვარსაც ატარებდნენ. იმ ადამიანებისათვის რელიგია რაღაც მეორე ხარისხოვანი, პოლიტიკური აქტი გახლდათ. ახლაც საკმაოდ ხშირად გაიგონებთ გამოთქმას მართლმადიდებელი ათეისტი. ეს ნონსენსია, მაგრამ საქართველოში თუ ხარ აუცილებლად უნდა დაადასტურო შენი მართლმადიდებლობა, შემდეგ კი შეგიძლია დაამატო, რომ ათეისტი ხარ, ეს უკვე არავის გააღიზიანებს.

ნაწილობრივ მე ამას ვიზიარებ. მე კულტურულად ქრისტიანი ვარ. ისეთ ოჯახში დავიბადე და გავიზარდე, ისეთ გარემოში, რომ ჩემი კულტურით და მსოფლმხედველობით ქრისტიანი ვარ. უფრო მეტიც, როგორც „ჩემს წინა ცხოვრებაში“ ფიზიკოსი-თეორეტიკოსი, იმასაც ვიტყვი, რომ ვარ აგნოსტიკოსი ანუ ადამიანი, რომელიც მეცნიერულად უდგება რელიგიურ საკითხებს და რომელსაც არა აქვს ღმერთის კონცეფციის რამე ზუსტი ცნება, რომლის უარყოფა ან დამტკიცება შეიძლება თანამედროვე მეთოდებით. ამგვარი ადამიანი გახლდათ ალბერტ აინშტაინი და ყველა გამომჩენილი მეცნიერი. ამავდროულად აინშტაინი ამბობდა: თუ პიროვნება კითხვაზე, – აქვს თუ არა ადამიანის სიცოცხლეს აზრი, დადებით პასუხს გასცემს, – ეს ნიშნავს, რომ ეს ადამიანი რელიგიურია. ხოლო თუ ადამიანს უარყოფითი პასუხი აქვს ამ შეკითხვაზე, ის მკვდრადშობილია. ამ გაგებით, მე ღრმად რელიგიური ადამიანი ვარ. ოღონდ ჩემთვის მიუღებელია პერსონალური ღმერთის კონცეფცია ანუ ასეთი ზეარსების კონცეფცია, რომელიც დაინტერესებულია ადამიანების ბედით და რაიმე გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.

ჩაგვრთვებით, და სოციოლოგიური კვლევებიც ადასტურებენ, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც აცხადებს, რომ

მორწმუნეა, ამავედროულად აცხადებს, რომ მას არ სწამს საიქიო ცხოვრებისა, არ მონაწილეობს ეკლესიის ცხოვრებაში და არ იღებს ზიარებას. პარადოქსული ფაქტია, მაგრამ ჩანს, ჩვენგან გაუცნობიერებლად, ალბათ, კონიუქტურის გამო, საზოგადოების უმეტეს ნაწილი აცხადებს, რომ მორწმუნეა, სინამდვილეში ისინი სხვებისგან ითხოვენ ქრისტიანული კანონების დაცვას, მორჩილებას, შენდობას, პატიებას, მოკრძალებას, თორემ თავად ცდილობენ თავის სასიკეთოდ მოიხვეჭონ ყველაფერი. ვითომ სხვისი სულის გადარჩენით არიან დაინტერესებულნი, საკუთარზე კი რატომღაც არ ზრუნავენ. ზნეობრიობას სხვისგან მოითხოვენ, ხოლო თავად კი უჭირთ ქრისტიანული ზნეობის დაცვა.

ამავედროულად მე ვაცნობიერებ იმას, რომ ცივილიზაციის გადარჩენა დამოკიდებულია იმაზე, შეინარჩუნებს კაცობრიობა იმ მორალურ კოდექსს, რომელსაც ჯერჯერობით რელიგია და მხოლოდ რელიგია უყრის საფუძველს. აქ მთლიანად სოლიდარული ვარ XX საუკუნის ერთ-ერთ გამოჩენილ მოაზროვნესთან, ნობელის პრემიის ლაურეატთან და სრულ აგნოსტიკოსთან ფრიდრიჰ ფონ ჰაიეკთან. რელიგიური მცნებებს, უზენაესი გაგებით, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კაცობრიობისათვის.

**რელიგიათმცოდნეობა საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა და მხოლოდ კონკრეტულად რელიგიის ისტორიის შესწავლის ჩარჩოებში იყო ჩაკეტილი. სამწუხაროდ, არც დემოკრატიულ საქართველოში მიეცა რელიგიათმცოდნეობას განვითარების საშუალება. როგორ ფიქრობთ განვითარდება კი საქართველოში ასეთ ვითარებაში ეკლესიის ზეწოლის პირობებში რელიგიათმცოდნეობა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება?**

რელიგიათმცოდნეობა შეიძლება განვითარდეს ასეთ პირობებში. გავისხენოთ ლიბერალიზმი და ადამიანის უფლებების კონცეფცია ჩამოყალიბდა რელიგიური ფანატიზმის პერიოდში, როდასაც ადამიანი შედარებით დამოკიდებული იყო საზოგადოების აზრზე. სწორედ ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაში, სინდისისა და მრწამსის დაცვა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი აზრის განვითარების გარეშე. რელიგიათმცოდნეობის განვითარებამ ხელი შეუწყო ფანატიზმის დაძლევას. ქმედება იწვევს უკუქმედებას. ინკვიზიციის პერიოდშიც ვერ შეაჩერა ადამიანის თავისუფალი აზრის განვითარება.

**საზოგადოება ვითარდება. წელს სულხა-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიის ინსტიტუტის ხელშეწყობით საქართველოში პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა ბიოეთიკაში. ბიოეთიკა ეს მეტად ახალი, მაგრამ მნიშვნელოვანის სფეროა. ვფიქრობთ, მისი განვითარება ხელს შეუწყობს სხვადასხვა რელიგიათა და კონფესიათა წარმომადგენლების და თუნდაც არამორწმუნეთა დაახლოებას, რადგან ღირსეული დამოკიდებულება ჩანასახის, სწეული ადამიანის, სამხედრო ტყვეებისა და ფიზიკურ გაჭირვებაში მყოფი ადამიანების მიმართ ნებისმიერი საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხია. კონტრაცეპტივები, აბორტისა და ევთანაზიის პრობლემების ქრისტიანული ზნეობის ფარგლებში გადაწყვეტა, ამისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს აქტიური მსჯელობის სფეროს უნდა წარმოადგენდეს.**

მე მაქვს ჩემი პირადი მოსაზრებები და ეს მოსაზრებები დაძაბული მუშაობისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია. ჩემი მოსაზრებები ამ საკითხზე შეიძლება არ ემთხვეოდეს ჩვენი პოლიტიკური გუნდის მოსაზრებებს. სინდისისა და მრწამსის საკითხებისადმი გუნდური მიდგომა არ არსებობს.

საკუთარი სიცოცხლის შეწყვეტა ზრდასრული ადამიანის ერთ-ერთი უფლებაა. ლოგინად ჩავარდნილ უიმედო ავადმყოფს, რომელსაც უარესი წამება ელის, უნდა ჰქონდეს უფლება კანონით გათვალისწინებულ ნორმით გადაწყვიტოს საკუთარი ყოფნა-არყოფნის პრობლემა, მაგრამ ამის უფლება აქვს მხოლოდ ამ ადამიანს და არა ექიმს.

შობადობის რეგულირების უფლებაც უნდა ჰქონდეს ადამიანს. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენელია კაცობრიობის არსებობა, დღეს მსოფლიოს მოსახლეობა 6,6 მილიარდია. ხოლო ადამიანის კულტურა და თანამედროვე საშუალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს შობადობის რეგულირება აბორტების გარეშე.

დღეს ისეთი ტენდენცია შეინიშნება, რომ მართლმადიდებლობამ ადამიანების წარმოდგენაში ჩაანაცვლა ადრინდელი საბჭოური იდეოლოგია. რელიგიური რწმენა, რაც ადამიანის იმანენტურ სფეროს განეკუთვნება, საზოგადოებრივი ქცევის, კოლექტიური რიტუალის სახეს იძენს და საყოველთაო აუცილებელ ნორმად იქცევა. ადამიანები თითქოს ცდილობენ ერთმანეთს შეეჯიბრონ თავიანთი რელიგიურობის დემონსტრირებაში, რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ გარეგნული რიტუალების შესრულებაში გამოიხატება.

მორწმუნე ადამიანს უდიდეს პატივს ვცემ. ისინი უდიდესი მორალისა და ზნეობის მატარებლები არიან. რელიგიური რწმენა სიყვარულსა პატივისცემას ამკვიდრებს ადამიანთა შორის, მაგრამ, ამავდროულად, ყოვლად მიუღებელია როცა ჭეშმარიტი მორწმუნეობა ჩანაცვლებულია ვულგარული რიტუალიზმით. როდესაც ჰგონიათ, რომ შეიძლება არ იზრუნო სულიერების ზრდაზე, არამედ მთავარი მხოლოდ რიტუალების შესრულებაა. ეს ნიშნავს, ჩამოაშორდეს ადამიანი ქრისტიანობის არსს. სამწუხაროდ, ამგვარ სიყალბეს ნებისმიერი მიმდინარეობის ქრისტიანებში საკმაო ხშირად ვაწყდებით.

დიდი მადლობა ამ მართლაც გულახდილი საუბრისათვის. იმედს ვიტოვებ, რომ ახლო მომავალში კვლავ გამოინახავთ დროს ჩვენი ჟურნალის მკითხველთან სასაუბროდ. ოქტომბერში კი გიწვევთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „რელიგია, პოლიტიკა საზოგადოება“ მონაწილეობის მისაღებად.

მადლობთ მოწვევისათვის, სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ამ სიმპოზიუმში.

ისტორიის ფურცლები

### ქაიხოსრო უფლისწული და კათოლიკე მისიონერები

XVII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ირან-საქართველოს ურთიერთობაში შემუშავებულმა კომპრომისულმა პოლიტიკამ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცლები გადაშალა. ირანის წინააღმდეგ ამხედრებული ავღანეთის ცხელ მიწას მრავალი ათასი ქართველის სისხლი შეაშრა. დღემდე კი ავღანელთა მეხსიერებას ქართველი ანუ „გურჯი“ კარგის, ძლიერის სინონიმად შემორჩა. ამ შთაბეჭდილებას რეალური საფუძველი ჰქონდა. ირანის არმიის ელიტად მიჩნეული ქართველი მეომრები და მათი მხედართმთავარი ქართლის მეფეები XVII ს-ის პირველ მეოთხედში სეფიანთა ირანის შენარჩუნების გარანტიად იქცნენ. ირანის წინააღმდეგ მემბოხე ავღანელთა თუ სხვათა ერთადერთ დამაშოშმინებელ ძალად მხოლოდ ქართველები ჩანდნენ. ინგლისელი ისტორიკოსის ვ. ალენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართლის მეფის გიორგი XI-

ისა და “მისი ძმების სამხედრო სიმტკიცემ შეინარჩუნა ბოლო ათეულ წლებში სეფიანთა დინასტია სპარსეთში”. ამ უკანასკნელს, მართალია, არსებობის წლები დათვლილი ჰქონდა, მაგრამ დაშლილ, სამოქალაქო ომებში დაქანცულ, უმოკავშირეოდ დარჩენილ, ერთმანეთს დაპირისპირებულ ჩვენს ქვეყანას, კერძოდ, ქართლის სამეფოს, საკუთარი ძალებით არ შეეძლო საქართველოს პოლიტიკური მომავლის ბედის გადაწყვეტა. ამიტომ ქართლის მეფეებს (გიორგი XI და ქაიხოსრო) და რჩეულ ქართველ მეომრებს ირანის მტრების წინააღმდეგ უნებურად უხდებოდათ თავგანწირული ბრძოლა და სისხლისღვრა. სხვის ომში კი ქართველების მამაცობას ანალოგი არ მოეძებნებოდა.

წინამდებარე სტატიის მიზნიდან გამომდინარე, არ შევეხებით ქართლის მეფის გიორგი XI-ის (1676-88; 1703-1709) ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლისა და ტრაგიკულად დაღუპვის ისტორიას. 1709 წლის 21 აპრილს დიდი მხედართმთავრული ნიჭით, უნარით, ენერჯითა და სიმამაცით განთქმული მეფე გიორგი ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა. ეს ნიშნავდა ირანის იმპერიის მზის ჩასვენებას. ამით შ შინებულმა შაჰ ჰუსეინმა დიდი არმია შექმნა და მის მეთაურად გიორგი XI-ის ძმისწული, ისპაჰანის გუბერნატორი და დივანბეგი ქაიხოსრო ლევანის ძე დანიშნა. ამასთანავე, შაჰმა მას ქართლის ტახტიც უბოძა. თ. კრუსინსკის თანახმად, „ასეთი ნაბიჯით ირანის შაჰი ორი ამოცანის გადაჭრას ისახავდა მიზნად: ერთი, ქართველთა გულადობით ყანდაპარი კვლავ მას დამორჩილებოდა და, მეორე, არ გაძლიერებულიყო სამეფო. ამ სამეფოს იგი არ ენდობოდა“.

ქაიხოსრო ორი წელიწადი (1709-1711) ითვლებოდა ქართლის მეფედ, მაგრამ იგი თავის სამშობლოში არ უნახავთ. წინამორბედ, თუ მომდევნო მუხრანბატონიშვილთა დარად ქაიხოსრო აშკარა სიმპათიას ავლენდა კათოლიკობის მიმართ. ამასთან დაკავშირებით თ. კრუსინსკი წერს: „მისიონერთა მფარველმა და კეთილისმყოფელმა ხოსრო ხანმა (ქაიხოსრომ) თბილისის, გორის, განჯისა და თავრიზის მისიებს მუდმივი შეწირულობის გადახდა დაუნიშნა. მასტან მუდამ იყო კარმელიტი ძმა ბასილი პარიზიდან, რომელიც დამსახურებული მისიონერი იყო და დიდი პატივისცემით სარგებლობდა სპარსელებს შორის“. ასევე, სხვა სანდო წყაროებში ვკითხულობთ: „ხოსრო ხანმა საჯაროდ აღიარა კათოლიკური სარწმუნოება და ყოველთვის თან იახლებდა სამ ევროპელ მისიონერს: ფრანგ მამა ბასილს პარიზიდან, რომელიც ფეხშიშველ კარმელიტთა ორდენს ეკუთვნოდა და ორ იტალიელ კაპუჩინელს – მამა რეჯინალდოს და მამა ამბროსის მილანიდან. ის რეგულარულად ესწრებოდა სამ მესას ყოველდღე და უხვად გასცემდა წყალობას, ათას-ათასი კრონიც კი აჩუქა მისიებს თბილისში, თავრიზში, განჯაში, გორში, ისპაჰანსა და შირაზში. მოკლედ, ეს იყო სამაგალითო ღმრთისმოსაობითა და ერთგულებით გამორჩეული ბატონიშვილი“.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქაიხოსროს, როგორც ირანის სახელმწიფოს დიდი მოხელის კათოლიკე მისიონერებისადმი ასეთი მზრუნველობა, უწინარეს ყოვლისა ირანის შ აჰის პოლიტიკიდან გამომდინარეობდა. კერძოდ, ირან-საფრანგეთის 1708 წლის 7 სექტემბრის ხელშეკრულების 26-ე მუხლის თანახმად, ირანის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ორდენის მამებს თავისუფლად შეეძლოთ „თავიანთი სარწმუნოების სამსახური“. მათ ასევე უფლება მიეცათ, ირანის იმპერიის ნებისმიერ ქალაქში ეცხოვრათ, ესწავლებინათ და გაეწვრთნათ „სომეხთა და ქრისტიანთა ბავშვები“. ამ საქმეში ხელის შეშლა არავის შეეძლო. იმ სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის ფონზე, რომელიც საქართველოში მუდამ არსებობდა, საკვირველი არაფერია იმაში, რომ ქაიხოსრო კეთილგანწყობას იჩენდა კათოლიკობის მიმართ. აქ მთავარი ისაა, რომ მან ფარულად აღიარა კათოლიკობა, რომელსაც მხოლოდ რელიგიური მიზანი არ ჰქონდა. როგორც პირველწყაროებიდან ირკვევა, ქაიხოსრო და მისი ძმა, აღმოსავლეთ

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1705-1741) ერთიან რელიგიურ კურსს ადგენე, რომელიც დასავლეთში მოკავშირის ძებნას ისახავდა მიზნად. ახლა ყური მივუგდოთ წყაროებს.

ქაიხოსრომ და დომენტი კათოლიკოსმა 1708 წლის ზაფხულში წერილი მიწერეს რომის პაპ რომის პაპ კლიმენტი XI-ს (1700-1721). მათი წერილები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ პროპაგანდა ფიქსს ისპაჰანის ვიკარიუსისადმი თხოვნა, დაწვრილებითი ცნობები მიეწოდებინა ქაიხოსროსა და დომენტის შესახებ, საშუალებას გვაძლევს დაახლოებით აღვადგინოთ ქაიხოსროსა და დომენტის წერილების შინაარსი.

დომენტი კათოლიკოსი თავის წერილში პაპისადმი ერთგული ქვეშევრდომობის ნებას და კათოლიკური სარწმუნოების მიღების სურვილს გამოთქვამდა. აქ პაპი სახელდება ქრისტეს მონაცველად, წმიდა სამოციქულო ეკლესიის მეთაურად და ჩაუქრობელ ლამპრად. რაც შეეხება ქაიხოსროს, ის პაპს წერილობით აუწყებდა, რომ საიდუმლოდ მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, რადგან ირანში მისი საჯაროდ აღიარება შეუძლებელი იყო. ამიტომ პაპისაგან ითხოვდა, რომ ნება მიეცა, გარეგნულად დაეფარა თავისი ქრისტიანობა. ასევე „მიანიჭოს ახსნა უწინ ქრისტიანობის უარყოფისათვის და სენდობიანი ჯვარი უბოძოს. აგრეთვე აუწყოს, რომ რომში მივიდეს პაპთან და თავშესაფარს იშოვიდა თუ არა“?

ადრესატებისადმი პასუხის გამოგზავნა რომმა ძალიან დააგვიანა. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ ალბათ, ისპაჰანიდან დროზე ვერ მიაწოდეს ცნობები ქაიხოსროსა და დომენტის შესახებ, რასაც პროპაგანდა 1708 წელს ითხოვდა. მხოლოდ 1711 წლის 24 იანვარს შეძლო პროპაგანდამ წერილი მიეწერა ქაიხოსროსა და დომენტი კათოლიკოსისათვის. ამ უკანასკნელს პროპაგანდა პაპის სახელით უწონებდა კათოლიკური სარწმუნოების მიღების სურვილს და მოუწოდებდა, თავისი წადილი აღესრულებინა. ასევე აგულიანებდა „ხელი მოეწერა კათოლიკური სარწმუნოების სიმბოლოსათვის, რომელიც ამ წერილთან ერთად ეგზავნებოდა“. რაც შეეხება ქაიხოსროს, პროპაგანდა პაპის სახელით წერდა: „პაპი მამობრივის სიყვარულით შეგაგულიანებთ, რომ თქვენს ასეთ კეთილ წადილში მარად მტკიცედ იყოთ“. „ხოლო პაპი გულმოდგინებით ყველაფრის ნებას აძლევდა, რაც კი კათოლიკურ სარწმუნოებას არ ეწინააღმდეგებოდა“.

ცნობილი არ არის, მიიღეს თუ არა ადრესატებმა ეს წერილები, ან რა შედეგი მოჰყვა ამას. ავღანელებთან სასტიკ ბრძოლაში ჩაბმული ქაიხოსრო, ცხადია, ვერ მოიცვლიდა პროპაგანდის წერილის საპასუხოდ.

ამრიგად, წარმოდგენილი წყაროების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, ქაიხოსროსა და კათოლიკოს დომენტის მიერ კათოლიკობის მიმართ სიმპათია აშკარად იყო გამოხატული. ისინი საიდუმლოდ ფიქრობდნენ რომის კათოლიკურ უნიატურ ეკლესიაში გადასვლაზე. წმიდა ტახტმა მათ უარი უთხრა იმის საფუძველზე, რომ წესდება არ ითვალისწინებდა საიდუმლოდ სარწმუნოების გამოცვლას. ძმები გულწრფელნი იყვნენ თავიანთ განზრახვაში, მაგრამ მათ კეთილგანწყობას რომის კათოლიკე ეკლესიისადმი მხოლოდ რელიგია არ ედო საფუძველად. ამ პერიოდში აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანში, რომისა და საფრანგეთის გავლენის სწრაფმა ზრდამა ღვიძლ ძმებს, ისპაჰანის გუბერნატორს ქაიხოსროს, ქართლის ჯანიშანს ვახტანგ VI-ს და კათოლიკოს დომენტი IV-ს რომის პაპსა და საფრანგეთის მეფეში სასურველი მოკავშირეები დაანახა.

რენესანსის შეილებთან, კათოლიკე მამებთან ურთიერთობა ქაიხოსრო უფლისწულს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ შეუწყვეტია, როგორც წყაროები მეტყველებენ, ავღანელების წინააღმდეგ დაძრულ ირანელთა ჯარის სარდალს, ქაიხოსროს სამი მისიონერი ახლდა თან. აქედან ორის სახელი ცნობილია. ესენი არიან: მამა ჯუზეპე ფრესკურატი ვერონელი და მამა ბასილი პარიზიდან



მესამის სახელი უცნობია. ფრანგი მამა ბასილი იყო სენ-შარლიდან. “მამა ბასილი, – კითხულობთ წყაროში, – იძულებული გახდა წასულიყო ამ ქალაქიდან (ისპაჰანიდან – მ.პ), რათა თან ხლებოდა სპარსეთის შაჰის არმიის გენერალს (ქაიხოსროს – მ. პ.), რომელსაც ბრძანება ჰქონდა მიღებული დაებრუნებინა ქალაქი ყანდაჰარი, რომელიც მოგოლმა აიღო. მამა ბასილი მიიწვიეს ამ მოგზაურობაში იმიტომ, რომ არმიის ეს გენერალი იყო ქრისტიანი ქართველი და მისი პირადი მეგობარი”. რაც შეეხება ჯუზეპე ფრესკურატ ვერონელს, ის არა მარტო ქაიხოსროს მახლობელი იყო, არამედ ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის ძველი მეგობარი გახლდათ.

1711 წლის 26 ოქტომბერს კიდევ ერთი ავი დღე გაუთენდათ ქართველებს. ქართველი სარდლის ირანული არმია 30 ათასი ირანელი და 1200 რჩეული ქართველი მეომრისაგან სედგებოდა. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქედუხრელი ავღანელების შეტევას ვერ გაუძლეს ირანელმა მეომრებმა და მასობრივად გარბოდნენ ბრძოლის ველიდან. ასეთ სირცხვილს სიკვდილი ერჩია ქაიხოსრო მეფეს. ის 200 შემორჩენილი ქართველი მხედრით ეკვეთა მტრის მთავარ რაზმს და სიმამაცისა და სიმტკიცის სასწაული აჩვენა, ვიდრე ურიცხვმა ძალამ არ გაიმარჯვა და მამაცურად არ დალია სული. ქართველთა სიმამაცის სასწაულმა მაგალითმა ათქმევინა ქედუხრელ ავღანელებს: „სპარსელები ჩვენთან შედარებით დიაცები არიან, მაგრამ ქართველებთან შედარებით ჩვენ ვართ დიაცები“.

თადეუშ კრუსინსკის თანახმად, ქაიხოსროსთან ერთად დაიღუპა კარმელელი ძმა ბასილი. “მან არ ისურვა საფრთხეში მიეტოვებინა ბელადი, – წერს ავტორი, – თუმცა მას უბრძანეს გაქცევით ეშველა თავისთვის, მაგრამ იგი ქაიხოსროსთან ერთად დაიღუპა, რომელიც ჩუმად ასრულებდა მოძღვრის ფუნქციას”. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. მამა ბასილი ავღანელებმა ჩაიგდეს ტყვედ და იგი ბრძოლის ველზე არ მოუკლავთ. სენ-ლორანიდან 1714 წლის 23 მარტს ერთ-ერთი ფრანცისკანელი მამა პარიზში ერთ-ერთ-ერთ სახელმწიფო მოხელეს წერდა: “მამა ბასილი ტყვედ ჩავარდა და არ იქნა მოკლული, როგორც ეს ჩვენ თავდაპირველად გვაცნობეს. სპარსეთის მისიონერები იწერებინან, რომ ყველანაირად ცდილობენ მის გამოსყიდვას და მამა ბასილი გაათავისუფლებას”. ამავე წყაროდან ჩანს, რომ მამა ბასილი დაიხსნეს ტყვეობიდან და საფრანგეთის ვიცე კონსულად დაინიშნა ირანში. ჯუზეპე ფრესკურატი ვერონელიც გადაურჩა ავღანელთა მახვილს.

ახლა დაისმის კითხვა: რატომ ახლდნენ ქაიხოსრო უფლისწულს კათოლიკე მამები ავღანელების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში? ამ კითხვაზე უტყუარი პასუხის გაცემა ძნელია. ვარაუდის დონეზე კი ვფიქრობთ: კათოლიკე მამები ქაიხოსრო უფლისწულს, ვითარცა გულით მტკიცე ქრისტიანს ახლდნენ, რათა მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტიანთა განემტკიცებინათ და ამით თავიანთი უზენაესი ვალი მოეხადათ. თვით ქაიხოსრო კი, კათოლიკე მამების თანხლებით, მაჰმადიანების წინააღმდეგ ომს რელიგიური ჯვაროსნობის ელფერს ანიჭებდა.

**მურმან პაპაშვილი**

**ინფორმაცია**

ამონაწერი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

№348, 2008 წლის 7 ივლისი, ქ. თბილისი

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად  
მიენიჭოთ საქართველოს მოქალაქეობა:  
**ჯუზეპე პაზოტოს**, იტალიის რესპუბლიკის მოქალაქეს, დაბადებულს 1954 წლის  
6 ივლისს იტალიის რესპუბლიკაში.

საქართველოს პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
№ 06/01-10-1933 11. 07. 2008 წ.  
მოქ: **ჯუზეპე პაზოტოს**  
მცხ. ქ. თბილისი, აბესაძის 6

გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 07.07. 2008 წლის №348  
ბრძანებულების თანახმად, თქვენ – **ჯუზეპე პაზოტოს** მოგენიჭა საქართველოს  
მოქალაქეობა.  
მანანა ცინაძე  
სამოქალაქო საკითხთა დეპარტამენტის უფროსის მ.შ.

განუსვენე მათ, უფალო!  
**ცისანა მღებრიშვილი-ვარამაშვილი**  
\* 25. 09. 1941 წ. – სოფ. ახალშენი  
† 2. 08. 2008 წ. – თბილისი

**ბადრი ნასყიდაშვილი**  
\* 7. 05. 1974 წ. – ვალე  
† 5. 08. 2008 წ. – ვალე

**სტეფანე ჩიტაშვილი**  
\* 5. 09. 1932 წ. – ვალე  
† 12. 08. 2008 წ. – ვალე

**ქრისტინე მამუკაშვილი**  
\* 01. 12. 1930 წ. – არალი  
† 27. 07. 2008 წ. – ივლიტა

სარჩევი  
ბენედიქტე XVI-ის მიმართვა  
ინტერრელიგიური თანამშრომლობის საბჭოს განცხადება  
რედაქციის გვერდი  
წმიდა პავლეს წელი  
კატოლიკე ეკლესია მსოფლიოში  
კათოლიკე ეკლესია საქართველოში  
აქტუალური თემა  
გამოჩენილი კათოლიკე მამულიშვილები  
ინტერვიუ  
ინფორმაცია  
საგანგებო ჩანართი

საგანგებო ჩანართი

## ქალთა სამღვდლო ხელდასხმა

2008 წლის 7 ივლისს, ქალაქ იორკში შეკრებილმა ინგლისის ეკლესიის სინოდმა, მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის გამართული ექსსაათიანი ცხარე დებატების შემდეგ, გამოიტანა თავისი გადაწყვეტილება ქალთა ეპისკოპოსად ხელდასხმის სასარგებლოდ.

მომდევნო დღეს ქრისტიანთა ერთობის საკითხების პაპის საბჭომ ეს ნაბიჯი შეაფასა როგორც ტრადიციისგან “მოწყვეტა” და “შეფერხება” შერიგების გზაზე.

წინამდებარე ჩანართში გვინდა უკეთ წარმოგიდგინოთ კათოლიკური სწავლება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მიიჩნევს რომის ეკლესია მას “მოწყვეტად” და “დაბრკოლებად”, აქვე ისეც უნდა გავითვალისწინოთ, თუკი ყოველი ეკლესია თავისუფალია თავის არჩევანში და გადაწყვეტილებებში, დღეს, ესოდენ გლობალიზებულ მსოფლიოში, ისეთი გადაწყვეტილებების მიღება გეჭირდება, რაც კი არ დაგვაშორებდა, არამედ უფრო დაგვაახლოებდა ეკლესიებს იმ საკითხში, რომ უამთა მსვლელობაში ხელუხლებლად შემოგვენახა საერთო სამოციქულო ტრადიცია. ჯერ კიდევ 1948 წელს *ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს I* ასამბლეა თავის დასკვნით მოხსენებაში შემდეგს წერდა: “ეკლესიები ვერ თანხმდებიან იმ ნიშანდობლივ საკითხზე, რაც ღმრთისმსახურებაში დედაკაცთა სრულფასოვან ყოფნას გულისხმობს. ზოგიერთი ეკლესია არაა მზად ისეთი თეოლოგიური მსჯელობისათვის, რაც უკეთ წარმოაჩენდა ქალთა ხელდასხმის პრობლემას; ზოგს არ გააჩნია პრინციპული მიზნები, თუმცა მასში სოციალურ და ადმინისტრაციულ სიძნელეებს ხედავს; ზოგიც იმ აზრს ემხრობა, რომ დედაკაცები ღმრთისმსახურებაში არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ უნდა ჩაერთონ; სხვანი მიიჩნევენ, რომ დედაკაცთა ყოფნა დასაშვებია ეკლესიის ნებისმიერ მსახურებაში“.

ამასთან დაკავშირებით, უპრიანი იქნებოდა ბიბლიური ექსკურსით დაგვეწყო; იმით, თუ როგორ უყურებდა ამ საკითხს გაუთიშავი ეკლესიის ტრადიცია.

### ბიბლიური საფუძვლები

პრობლემა ნამდვილად არ გახლავთ სიახლე, რამდენადაც მასში აშკარად იკვეთება ყველა ეპოქისთვის დამახასიათებელი ახალ-ახალი შტრიხები. ანტიკურ ხანაში გაბატონებულმა კულტურამ ხელი შეუწყო დედაკაცთა სამღვდლო მსახურების დაარსებას. ანტიკური ხანის შუა აღმოსავლეთის უმთავრეს რელიგიებს ჰყავდათ კიდევ ღმრთისმსახური დედაკაცები. უმრავლეს შემთხვევაში, დედაკაცთა მღვდლობა დაკავშირებული იყო დედა-ღმრთაებათა თაყვანისცემასთან. ისრაელი, რამდენადაც ღმრთის გაცხადების პრივილიგირებული ადგილი გახლდათ, ამ საკითხში გამონაკლისი იყო. მან უარყო დედაკაცთა საღმრთომსახურების კულტი და სამღვდლოება მხოლოდ მამაკაცებს დაუწესა. ისეთი დედაკაცები, როგორებიც იყვნენ მარიამი - მოსესა და აარონის და, დებორა, ივდითი და ესთერი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ისრაელის ისტორიაში, მათ შორის, მსაჯულთა და წინასწარმეტყველთა როლსაც, თუმცა უფლებბონი არიან სამღვდლო მსახურებაში.

იგივე განმეორდა ახალ აღთქმაში. ძველადღებულ საკითხის – ისრაელის ნეფის – *იაჰვეს* ხელახალი წარმოჩენით, იესო ღმრთის ახალი ერის ნეფედ წარმოადგენს თავს (*შდრ. მათ. 9,15; 25, 1.5-6, 10; მარკ. 2, 19-20; ლუკ. 5, 34-35; იოან. 3, 29*) და ასეთად აღიარა კიდევ პირველუამინდელმა ეკლესიამ (*შდრ. 2კორ. 11, 2; ეფ. 5, 25-26; გამოცხ. 19, 2-9; 21, 7-9; 22, 17*). დედაკაცები – მარიამი,

იესოს დედა, ელისაბედი და ანა გადამწყვეტ როლს თამაშობენ ხსნის ისტორიაში; იესოს პირველ მიმდევართა შორის კვლავ დედაკაცებს ვხვდებით: მარიამ მაგდალელი, მარიამ ბეთანიელი, იოანა, სუსანა და სალომე, მაგრამ მან თავის მოწაფეებად მამაკაცები აირჩია.

სახარების მიხედვით იესომ თავის ცხოვრებაში მოიხმო თორმეტი და მთელი რიგი საქმეებით, – რამაც თავის მწვერვალს აღდგომის შემდეგ მიაღწია, – ისინი თავის წარგზავნილებად დაასახელა. აღთქმული სულიწმიდის წინამძღოლობით მათ – და მათმა მემკვიდრეებმა – მისი სახელით უნდა ილაპარაკონ და იმოქმედონ ვიდრე ჟამთა აღსასრულამდე. როგორც სინოტიკოსები აღწერენ, პავლეს სწავლებით შთაგონებული (*შდრ. 1კორ. 11, 23-25*) ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი *უფლის სერობის* მონაწილენი არიან და აქედანვე იქნენ განწესებულნი იმ მისიაში, რომ ევქარისტული აქტით უკვდავეყნოთ იესოს მოგონება. თუკი *ახალ აღთქმას* კათოლიკური ტრადიციით და საეკლესიო ხელისუფლების მხრიდან შევხვდებით, აშკარად ამოწმებს მოციქულთა მისიას, რომელიც კავშირშია არა მხოლოდ სწავლებასთან და იერარქიასთან, არამედ საკრამენტალურ მსახურებასთან. მოციქულთა ჟამს, ისეთი დედაკაცები, როგორებიც იყვნენ ლიდია, პრისცილა, ევოღია და სინტიქე ატიურად თანამშრომლობდნენ პავლესთან. *ფებეს* წარმოადგენდნენ როგორც *დიაკონესას* (*დიაკონოს*=დამხმარე). თუმცაღა სამოციქულო მსახურება, რა გზითაც ამას ეპისკოპოსნი, ხუცესნი და სხვა მსგავსი მსახურნი გადმოსცემდნენ, მხოლოდ მამაკაცთათვის იყო განკუთვნილი და ქრისტეს მაგალითზე შეინარჩუნეს მოციქულებმა მორწმუნენი.

ტერმინი „მოციქული“ (აპოსტოლი), თანაბრად გამოხატავს როგორც თორმეტზე მინდობილ მსახურებას და ასევე, მამაკაცთათვის განკუთვნილ მისიას. იუდას განდგომის შემდეგ, მაგათია მის შემცვლელად დასახელდა. სულ რამდენიმე ხანში, პავლესაც და ბარნაბასაც გადაეცა სამოციქულო მანდატი. რამდენადაც ტერმინი „მოციქული/აპოსტოლი“ გაგებული იყო როგორც „მისიონერი/გზავნილი“, საფიქრებელია, რომ მასში სხვებიც იყვნენ მოაზრებულნი, დედაკაცების ჩათვლით; სწორედ ისე, როგორც დღეს ვსაუბრობთ „საერო აპოსტოლატზე“, რომელიც აცხადებს: “მოციქულთა საქმეში და ეპისტოლეებში ვკითხულობთ, რომ პირველჟამინდელ საკრებულოებს ყოველთვის მამაკაცები უძღოდნენ და ისინი ასრულებდნენ სამოციქულო ძალაუფლებას... იერარქიისთვის დამახასიათებელი მამრობითი შტრიხი, რაც დასაბამითვე გამოიკვეთა ეკლესიაში, შეუდავებლად იქნა განმტკიცებული საღმრთო წერილის მიერ”.

## ეკლესიის ისტორია

დედაკაცთა სამღვდლოების პრობლემა რამდენიმეჯერმე წამოიჭრა ეკლესიის ისტორიაში. პირველ საუკუნეებში ზოგიერთი გნოსტიკოსი დედაკაცს სამღვდლო ფუნქციებს ანიჭებდა, მაგრამ მათ ამის გამო (და სხვა მიზეზითაც) ურჯულოებად რაცხდნენ; ხოლო კათოლიკეები დედაკაცთა მღვდლობის საკითხში ერთსულოვნებას იჩენდნენ. ისინი ციტირებენ ტექსტებს – *სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობისა და აზრისა* – ირენეოდან, ტერტილიანედან, ფირმალიანოდან, ორიგენედან, ეპიფანედან, იოანე ოქროპირიდან, *Didascalia Apostolorum*-დან და *Constitutiones Apostolicas*-დან. ამ ტექსტებში წარმოდგენილი მოსაზრებები საკითხის ირგვლივ, ძირითადად, იესოს მაგალითს, მოციქულთა საქმეებს და წმიდა წერილის სწავლებას ეყრდნობიან.

შუასაკუნეებში ამ პრობლემას თავად ქალბატონებიც შეეხნენ, მათ შორის ილდეგარდა ბინგენი, და ასევე, ისეთი მოწინავე თეოლოგები, როგორებიც იყვნენ ბონავენტურა, რიკარდო მიდლეტონი, თომა აქვინელი, ლუნს სკოტი და დურანდო

წმ. პურსინელი. ყველა ესენი ერთ აზრზე დგანან იმ საკითხში, რომ ეკლესიის ნება არ ყოფილა დედაკაცების ღმრთისმსახურება. მათი არგუმენტები ძირითადად საღმრთო გამოცხადებას ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური ხანის და შუასაუკუნეების მრავალი თეოლოგი დედაკაცების ნიჭსა და უნარს აღმაცერად უყურებდა, ნეტარ ქალწულ მარიამს ყველა წმიდანზე შეუდარებლად მაღლა აყენებდა. ინოკენტი III ამტკიცებს: “თუმცაღა ნეტარი ქალწული მარიამი ყველა მოციქულთან შედარებით უზენაესი და უსაჩინოესი ღირსებისა გახლდათ, უფალმა სწორედ მათ, და არა მას, მიანდო ცათა სასუფეველის გასაღები”.

წმიდა თომა, როდესაც ამ საკითხს ეხება, თავის მოსაზრებას დედაკაცთა დაქვემდებარებული სტატუსიდან გამომდინარე როდი აკეთებს, პირიქით, იგი აღიარებს, რომ ზოგიერთი ქალბატონი გონებირვად და სულიერად ბევრად აღემატება მამაკაცს. *დედაკაცებს, – დასძენდა იგი, – აქვთ უნარი მართონ საზოგადოება, იყვნენ წინასწარმეტყველნი და მანდილოსანნი, თუმცაღა არ ძალუძთ მღვდლობა*, და ეს იმ მიზეზით, რასაც აკვინელი უწოდებს ქალთა სქესის “ნიშანს”. მისი აზრით მღვდელი უნდა გადმოსცემდეს ქრისტეს სახეს “ვისი პირით და ვისი უფლებითაც იგი მაღლმოსილ სიტყვებს წარმოთქვამს” ევქარისტის წუთებში. წმიდა ბონავენტურამ უფრო გააღრმავა სქესთა სიმბოლიზმზე დამყარებული არგუმენტი. *მღვდელი, აცხადებდა იგი, თავისთავად ქრისტეს სხეულის ხატებაა; და ვინაიდან დედაკაცი ვერ გახდება მამაკაცის თავი, შეუძლებელია მისი ხელდასხმა*.

პაპთა, ეპისკოპოსთა და კათოლიკე თეოლოგთა სრული თანხმობა მომდევნო საუკუნეებშიც ურყევი იყო. XVI ს-დან XX ს-მდე, მრავალი თეოლოგი მიიჩნევდა, რომ იგი რწმენის ერთ-ერთი საკითხი უნდა ყოფილიყო. პრობლემას განიხილავდნენ ისეთი ერუდიტი ავტორები, როგორებიც იყვნენ: გაბრიელ ვასკესი, ჟაკ პოლ მინი, პეტრე გასპარი და ემანუელ დორონცო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც გერმანიაში ხელდასხმული მღვდლების სიმწირე შეინიშნა, ედით შტაინის ფილოსოფიამ გარკვეული დროით გზა გაუხსნა იმ იდეას, რითაც ქალები სამღვდელოებაში ხელდასხმას შეძლებდნენ. შემდგომ კი, პრობლემის შესწავლით დაასკვნეს, რომ სამღვდელოება ვერ გახდებოდა ქალთა მოწოდება. ქალი თეოლოგი გერტრუდ ფონ ლე ფორტი და იდა ფრიდერიკა გორესი ამავე აზრს იზიარებდნენ.

XX ს-ის II ნახევარში პრობლემამ მწვავე ხასიათი მიიღო, რამდენადაც ზოგიერთმა პროტესტანტულმა საკრებულომ, ბოლოხანებში კი რამდენმე ანგლიკანურმა ეკლესიამ, წესად შემოიღო ქალთა ხელდასხმა მღვდლად, ზოგ შემთხვევაში კი ეპისკოპოსად. 1948 წელს ანგლიკანელი ს. ს. ლევისი სამართლიანად გამოხატა ინგლისის ეკლესიას, რომელმაც მოქმედებაში მოიყვანა ეს ცვლილება: “ამგვარი რევულუციური წესის დანერგვა, ქრისტიანული წესიდან ჩამოშორება და გათიშულობის გაღრმავება ჩვენსა და სხვა ეკლესიებს შორის ქალთა სამღვდელოების შემოდებით, უგუნური წინდაუხედაობის ტოლფასია. ამ ფაქტიდან თავად ინგლისის ეკლესიას მიადგება ზიანი”.

აღმოსავლეთის ეკლესიები, მათ შორის რომთან ერთობაში მყოფნი, მყარად იცავდნენ სამოციქულო ტრადიციას ამ საკითხში. პოლ ევლოკიმოვი, მაგალითად, აცხადებდა, რომ ქალების ჩართვა სამღვდელოებაში „თავად მის (ქალის) ბუნებას გასცემდა“. მიტროპოლიტი ათენაგორა ტრიატირელი დანაწიებით საუბრობდა ამ „თანამედროვე მოდაზე, რომელიც არღვევს სახარებისეულ წესრიგს და ეკლესიის გამოცდილებას“. ასე, აცხადებდა იგი: „...შესაწირავზე ეპისკოპოსი (ან მღვდელი) ხორცშესხმული სიტყვის ხატებად იქცევა. მართლმადიდებელ კულტში სწორედ მღვდლის ხატისეული თვისება არის ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რაც კი შეიძლება საკრამენტულ სამღვდელოებაში დედაკაცების დაშვებას დაუპირისპირდეს“.

1976 წელს, კონგრეგაციამ – „რწმენის მოძღვრება“ ახალი სწავლება წამოიწყო ამ საკითხზე და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეკლესია უფლებამოსილი არაა განაწესოს დედაკაცები სამღვდლო მსახურებაზე. პავლე VI-მ მიიღო და განამტკიცა ეს განცხადება. იოანე პავლე II თავის სამოციქულო წერილში *ქალების მოწოდებასა და ღირსებაზე, Mulieris dignitatem*, მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ქრისტემ თავისი ნებით და უზენაესობით მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცები მოიხმო თავის მოციქულებად. ასეა თუ ისე, არასწორი იქნებოდა გეგფიქრა, რომ ქალები წარმოადგენენ ქრისტეს, ანუ მას, რომელიც ევქარისტიაში თავის თავს ნეფედ სთავაზობს სასძლოს გამოსასყიდად. ევქარისტიაში, აღმასრულებელი მღვდელი, ეკლესიის თავის - ქრისტეს სახელით მოქმედებს.

პაპი ეხება ე.წ. ხატისეულ არგუმენტს, რომელიც ჯერ კიდევ ილდეგარდა ბინგენისა და ბონავენტურას ნაშრომებშიც გამოჩნდება, უფრო მკაფიოდ კი თომა აქვინელში. იგივე არგუმენტი დამაჯერებლად წარმოადგინა მრავალმა თანამედროვე თეოლოგმა, მათ შორის ჰანს ფონ ბალთაზარმა და ლუის ბაუერმა. ორივენი განუხრელად აცხადებდნენ, რომ საღმრთო მსახურება სულაც არ ეხება ადამიანთა უპირატესობის საკითხს. ხელდასხმული სამღვდლოება მთლიანად მიმართულია ქრისტეს სხეულის სიწმინდეში ასაგებად. მღვდელმსახური მოქმედებს არა თავისი სახელით, არამედ როგორც სხვისი, ანუ ქრისტე-თავის წარმომადგენელი. სამღვდლო მსახურებაში იგი მხოლოდ და მხოლოდ გადმოსცემს ქრისტეს და არა საკუთარ თავს.

ნათელი უნდა იყოს ისიც, რომ საკრამენტების აღნიშვნა სხვა დადგენილ საღმრთო აქტებთან თანხმობაში უნდა მოხდეს. იესო ქრისტემ დაადგინა ნათლობა წყლით, თუმცა მას შეეძლო რომელიმე სხვა ელემენტის გამოყენება, მაგალითად ღვინოსი ან რძის; დაადგინა ევქარისტია პურისა და ღვინოს სახით, ისე როგორც ჩვენ ვეზიარებით, თუმცა შეეძლო გამოყენებინა თევზი და წყალი. თუკი ჩვენ დღეს დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტემ ადეკვატური არჩევანი გააკეთა, ეს არ გამორიცხავს სხვა არჩევანის გაკეთებას. და როგორც ეკლესია ვერ შეცვლის ნათლისღებისა და ევქარისტისათვის უცილობელ ელემენტებს, ასევე ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ იესომ, დედაკაცებისადმი მისი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მხოლოდ მამაკაცებს მოუხმო სამოციქულო მსახურებაში.

ამ მოკლე ექსკურსის დასასრულს შეგვიძლია უკეთ გავიგოთ საბოლოო განსაზღვრება „*Ordinatio sacerdotalis*“, რაც იოანე პავლე II-მ 1994 წელს გაახშირდა და რასაც კათოლიკე მორწმუნენი უნდა გაეყენენ, რამეთუ იგი სავსებით გამოხატავს კათოლიკე ეკლესიის პოზიციას: „ამდენად, ყოველგვარი ეჭვი რომ გაიფანტოს ამ ღრმადმნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ჩემი მსახურების ძალით იცავს ეკლესიის საღმრთო კონსტიტუციას მოძმეთა განწესებაში, ვაცხადებ, რომ ეკლესია უუფლებოა დედაკაცებზე სამღვდლო ხელდასხმის მინიჭებაში, ხოლო ეს განაჩენი საბოლოო უნდა იყოს ყველა მორწმუნისათვის“.

როგორც აცხადებს „ათენის დეკლარაცია“ (ანგლიკანურ-მართლმადიდებელი შერეული კომისია) (1978 წ.), და ანთელიას მოხსენება (რეფორმატური ეკლესიების მსოფლიო კავშირი-ადმოსავლური ორთოდოქსული ეკლესიები) (2001 წ.): „დედაკაცები ვერ შევლენ სამღვდლოებაში. მათი სამღვდლო ხელდასხმა არის წესი, რომელიც დასაყრდენ ნიადაგს ვერ პოულობს საკრალურ ტრადიციაში (...). ქრისტესა და მოციქულთა ჟამიდანვე ეკლესია მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცთა სამღვდლოებას აწესებს (...). დედაკაცთა სამღვდლო ხელდასხმა არ გახლავთ ნაწილი მარადუცვლელი შემოქმედებისა, ეს არის სამოციქულო რწმენისა და საეკლესიო წესრიგის დარღვევა. საღმრთო წერილის სწავლებით დედაკაცთა ხელდასხმა სამღვდლო მსახურებაში მიუღებელია“.

მრავალი სადაო აზრი ჩამოყალიბდა, რაც უპირისპირდება ამ ტრადიციას და კათოლიკე ეკლესიის, - ასევე მართლმადიდებელთა - პოზიციას; მათ შორის არის შემდეგი: ეს არჩევანი იმ სოციალური გამოძახილის ნაყოფია, რაშიც იესო ცხოვრობდა და მოქმედებდა; ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღევანდელ დღეს რომ ეცხოვრა იესოს, იგი სულ სხვა არჩევანს გააკეთებდა. ჩვენ აქ ორ სადაო მოსაზრებაზე შევჩერდებით, რომელთა შორის მეორე უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ აზრის გასაგებად, თუ რატომ დაინერგა ასეთი ტრადიცია.

პირველ რიგში, ამ აზრის მომხრენი აცხადებენ, რომ თუკი ეკლესიას შეუძლია მოახდინოს წარმართთა ხელდასხმა, მაშინ დედაკაცებსაც უნდა დაასხან ხელი, რაკილა თორმეტ მოციქულში მხოლოდ მამაკაცები არ იყვნენ, მასში ებრაელები შედიოდნენ. საიდან შეგვიძლია გავიგოთ, რომ ქრისტეს სამღვდლო მსახურება მხოლოდ მამაკაცებისათვის სურდა და არა მხოლოდ ებრაელთათვის? ეკლესიის ტრადიციას არასოდეს გაუწყვეტია ის კავშირი, რაც სამღვდლო ხელდასხმასა და სქესს შორის არსებობდა, ებრაელობა კი არასოდეს დაუყენებია როგორც საჭირო რეკვიზიტი. ქრისტეს საქმეები ჩვენ მოციქულთა პრაქტიკით, ეკლესიის ტრადიციით და სახელისუფლო სწავლებით გადმოგვცა. ზოგჯერ წინა პლანზე აყენებენ ერთ-ერთ ბოლოდროინდელ მოსაზრებას, რაც საღმრთო წერილს ეფუძნება, რომელიც აცხადებს რომ არ არსებობს არც ბერძენი და არც იუდეველი; არც მონა და არც თავისუფალი; არც მამაკაცი და არც დედაკაცი; რადგანაც ყველანი შევიძინეთ ერთი იესო ქრისტეთი. განა ეს სიტყვები არ კრძალავენ ყოველგვარ დისკრიმინაციას? ეს ტექსტი კარგად იყო ცნობილი ეკლესიის მამებისა და სქოლასტიკოს ღმრთისმეტყველთათვის. ამ სიტყვებით ისინი მამაკაცთა და დედაკაცთა თანასწორუფლებიანობას აჩვენებდნენ, რამდენადაც ორივენი ეკლესიის მონათლული წევრნი არიან. ამასთან დაკავშირებით კათოლიკური სწავლება ნათელია: მამაკაცები და დედაკაცები თანაბარი ღირსებისანი არიან, მაგრამ თანასწორობა არ ნიშნავს იდენტურობას და როლთა გადანაცვლებას. სქესთა შორის განსხვავება მომდინარეობს შემოქმედის შეუვალე ნებისგან: „მამაკაცად და დედაკაცად შექმნა“ (დაბ. 1, 27).

“ერთობა ქრისტეში” არ ემყარება და მით უფრო არ მოწმდება იმ ფაქტით, რომ დედაკაცებს შეუძლიათ მღვდელთა და ეპისკოპოსთა მსახურების შესრულება, ხოლო მამაკაცებს დედაკაცთა მსახურების შესრულება. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ვისაუბრებდით არა ფუნდამენტურ და ონთოლოგიურ ერთობაზე, არამედ უბრალოდ ფუნქციონალურ, რაციონალურ ერთობაზე. ქრისტე არ მომკვდარა ჯვარზე იმიტომ, რომ „ერთი გაუმხდარიყავით,“ არამედ იმიტომ, რომ ყველა ადამიანს, – მამაკაცს და დადაკაცს – შეძლებოდა ერთმანეთის მიღება ღმრთის შვილთა ღირსებით და თავისუფლებით, როგორც წმ. პავლე წერდა: “ისევე მიიღეთ ერთმანეთი, როგორც ქრისტემ მივიღოთ თქვენ ღმრთის დიდებაში” (რომ. 15, 7); ესეც არის, რომ დედაკაცთა სამღვდლოებაში ხელდასხმის მოთხოვნა, ირიბი გზით, მეტისმეტად გაზვიადებულია და წარმოჩენილი, თითქოსდა ეს ერთადერთი მსახურება არსებობდეს ეკლესიაში და ეს იყოს პიროვნების განწმენდის ერთადერთი გზა; დედაკაცებზე ხელდასხმის მოთხოვნა, რომელიც ჩვენს ეპოქაში ფემინისტური მოთხოვნების ნიადაგზე აღმოცენდა, უფრო მეტად გამოკვეთს მამაკაცთა სამღვდლო მნიშვნელობას, მაშინ როცა პირიქით უნდა მომხდარიყო. ეკლესიაში დედაკაცთა როლის შეფასება არ ხდება ამ მსახურების გადმოცემით, არამედ როგორც იოანე პავლე II წერდა უპირველესად, *ქალური გენიის* მიღებით და ამ გენიის *მამაკაცურ გენიასთან* ჰარმონიაში შეთანხმებით. როგორც ვთქვით, პრობლემა იმდენად გაზვიადებულია, რომ გვერდზე რიყავს გაცილებით მრავალმნიშვნელოვან

გარემოებებს, რაც ეკლესიის ცხოვრებაში, ოჯახში და თავად საზოგადოებაში იქმნება, რასაც ვფიქრობთ, რომ გაცილებით მეტი გულისხმიერება ესაჭიროება.

ქალთა პოზიცია ეკლესიაში მამაკაცთა სამღვდლოებაზე ნაკლებად დასაფასებელი როდია. სამი ქალი ეკლესიის მოძღვრად გამოცხადდა (წმ. ეკატერინე სიენელი, წმ. ტერეზა ავილელი და წმ. ტერეზა ლიზიელი). თანამედროვეობის ისეთი დიდებული ქალბატონები, როგორებიც არიან დოროთი დეი და დედა ტერეზა კალკუტელი, უზარმაზარ გავლენას ახდენდნენ ეკლესიაზე და მთელს მსოფლიოზე. ეკლესიის წიაღში განხორციელებული ყველა მსახურება და როლი სიწმიდისაკენ არის მიმართული, და ისიც ცნობილია, რომ სწორედ წმიდანობაა უმთავრესი მიზანი. ქალებიც ფლობენ წმიდანობაში შესვლის პირობას, და მიგვაჩნია, რომ წმიდანობა უმნიშვნელოვანესია. ამის დიდებული მაგალითია ნეტარი ქალწული.

ეკლესიაში ქალთა პოზიცია, რაც ოდითგანვე მნიშვნელოვანი გახლდათ, თანდათანობით ახალ თვისებებს იძენს, რადგან ერისკაცნი და სასულიერო პირნი მსახურების ახალ-ახალ ფორმებს ეძებენ. თავის საკრამენტულ ცხოვრებაში კი ეკლესია ყოველთვის ერთგული რჩება ქრისტეს ქმედების; ეკლესიას უფლება არა აქვს დანერგოს რამე ახალი, ჩვენს მიერ შემოტანილი. ჩვენ მადლიერნი უნდა ვიყოთ პავლე VI-ისა და იოანე პავლე II-ისა, რადგანაც მათ ნათლად ჩამოაყალიბეს თავიანთი მსოფლმხედველობა ამ საკითხზე. სექსობრივ იდენტურობასა და როლთა გადმოცემის საკითხზე გამართულ ცხარე დებატებში მათ ურყევად დაიცვეს სამოციქულო ტრადიცია. არ დაივიწყეს, რომ *სწავლების ავთენტიკური განვითარება*, როგორც აცხადებდა ნიუმენი, *ყოველთვის ეფუძნება წარსულს, ამტკიცებს მას და არახლოდეს მოიხმობს*. ეკლესია, რომელის ზღვაში მოისვრის თავისი მემკვიდრეობის ნაწილს იმ მიზნით, რომ თანამედროვე ტენდენცია წაახალისოს, თავის თავს აყენებს ვნებას. წუთისოფელში ქრისტეს უწყების მისატანად, კათოლიკეებმა პატივი უნდა მიაგონ და მხარი დაუჭირონ ყველაფერს, რაც რწმენის საუნჯეს შეადგენს, რაც საღმრთო წერილითა და ტრადიციით არის დამოწმებული.

ჩვენ დროში, და ასე იყო ოდითგანვე, მხურვალედ მოუწოდებენ მამაკაცებს და დედაკაცებს ქრისტეს სხეულის აგებაში სათანამშრომლოდ. უნდა გადაილახოს ქრისტეს სხეულის შიგნით წარმოქმნილი კამათი, რათა არ გაუბრალოვდეს ის დიადი ვალი, რომელიც გვაკისრებს, რომ წუთისოფელს ვაუწყოთ ქრისტე.

**მამა გაბრიელე ბრაგანტინი**